

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი



ხათუნა ლელაძე

ფულის გათვორებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკული ასპექტები საქართველოში

ხელმძღვანელი: ქეთევან ირემაშვილი

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

თბილისი

0156

საქართველო

2020

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

„ ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომგავეცანით ხათუნა ლელაძის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკული ასპექტები საქართველოში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“

თარიღი: _____

ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი, ქეთევან ირემაშვილი

რეცენზენტი:

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი

ავტორი:

ნაშრომი: „ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკული ასპექტები საქართველოში“

სკოლა: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამა: კერძო(ბიზნეს) სამართალი

ინდივიდუალური პროცნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

რეზიუმე

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პოლიტიკის პრაქტიკული ასპექტები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. თემაში წინა პლანზეა წამოწეული ის პრობლემები, რომლებიც კონკრეტულ საკითხთან მიმართებით რეალურად არსებობს დღევანდელ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. აღნიშნული შეეხება ვერიფიკაციისა და რისკების შეფასების დროს მისი სხვადასხვა ბაზებში გადამოწმების გზით პირის პერსონალური მონაცემების დაცულობას, ისევე როგორც, საექვო ტრანზაქციების გამოვლენის დროს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის შეტყობინების თავსებადობას პროფესიული საიდუმლოების დაცვასთან რიგ ანგარიშვალდებულ პირებთან მიმართებით. კვლევა მოიცავს: ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკის ისტორიულ განვითარებას, ასევე იგივე პოლიტიკის შეფასებასა და ანალიზს საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში, ანგარიშვალდებულ პირების მხრიდან ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკულ ასპექტებს, უკანონო შემოსავლისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო რეგულაციებს, საერთაშორისო რეკომენდაციებსა და რეკომენდაციების განხორციელების პრაქტიკული ასპექტებს საქართველოში. ნაშრომში ასევე გამოკვლეულია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის პოლიტიკის საკვანძო ასპექტები, საოპერაციო რისკები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ანგარიშვალდებულ პირების მიერ რისკების განხორციელებასა და კონტროლის სისტემის უზრუნველყოფასთან.

კვლევის მიზანია საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის, როგორც საერთაშორისო მოთამაშის მხრიდან რისკების მართვის საერთო ფონის შეფასება და ანალიზი, ისევე როგორც, ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმართება და შესაბამისობა ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან. კვლევის ობიექტს წარმოადგენენ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სუბიექტები, კერძოდ: ფინანსური ინსტიტუტები, არასაფინანსო საქმიანობის განმახორციელებელი პირები და საჯარო დაწესებულებები. წინამდებარე ნაშრომი მოიცავს თითოეული სუბიექტის ქვეშ აღნიშნული კანონით გათვალისწინებული პირების ფართო წრეს და გამიზნულია ანგარიშვალდებულ პირების მიერ რისკების შეფასების განხორციელების პროცესის შესწავლისა და ანალიზისკენ. ნაშრომი წარმოაჩენს აღნიშნული რისკების სწორი მართვის მნიშვნელობას საწყის ეტაპზე, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევების დროული გამოვლენის, ისე მათი პრევენციის თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტიტუტების ნაწილში ნაშრომი მოიცავს შემდეგ სუბიექტებს: არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას – საკრედიტო კავშირს, არასახელმწიფო საპენსიო სქემის

დამფუძნებელს, სადაზღვევო ბროკერს, გადაზღვევის ბროკერს, ვალუტის გადამცვლელ პუნქტს, კომერციული ბანკს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, საბროკერო კომპანიას, საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, სადაზღვევო ორგანიზაციის, სალიზინგო კომპანიას, სესხის გამცემ სუბიექტს, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს.

არასაფინანსო საქმიანობის განმახორციელებელი პირების მხრივ ნაშრომი შეეხება შემდეგ პირებს: ადვოკატს; საადვოკატო ბიუროს; ლატარიის ორგანიზატორს; აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორს; ნოტარიუსს; სერტიფიცირებულ ბუღალტერს; იურიდიული პირს, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურებას ახორციელებს და რომლის სახელით მოქმედებს სერტიფიცირებული ბუღალტერი; აუდიტორს; აუდიტორულ (აუდიტური) ფირმას; ძვირფასი ქვებით ან ლითონებით ვაჭრობის განმახორციელებელ პირს.

საჯარო დაწესებულებების თვალსაზრისით ნაშრომში შეეხება შემდეგ სუბიექტებს: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირს – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირს – შემოსავლების სამსახურს.

მეორადი მიზნების ნაწილში ნაშრომში წარმოდგენილი სამართლებრივი ანალიზი ასევე ემსახურება შესასწავლი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებას როგორც საჯარო და კერძო სექტორში, ისე საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებში.

Resume

The research discusses the practical aspects of money laundering and terrorist financing policies at local and international levels. The topic highlights the problems that exist in today's Georgian legislative space in relation to the specific issue. This refers to the protection of a person's personal data during verification and risk assessment by verifying it in various databases. Also, about the compatibility of the notification to the Financial Monitoring Service in case of suspicious transactions with number of persons accountable for the protection of professional secrecy. Research includes: Historical development of anti-money laundering and anti-terrorism financing policies, as well as the evaluation and analysis of the same policy in the legislative space of Georgia, promote and implement the practical aspects and the policies which prevents money laundering and terrorist financing by those responsible, legislative regulations on the prevention of illegal income and terrorist financing, practical aspects of international recommendations and implementation of recommendations in Georgia. The research also explores key aspects of money laundering and terrorist financing prevention policies. Operating risks that are directly related to the implementation of risks by the accountable persons with the provision of a control system.

The aim of the study is to stop money laundering and terrorist financing in Georgia, assessing and analyzing the overall background of risk management as an international player, also the compliance of Georgian legislation and practice with the recommendations of the Special Financial Action Task Force (FATF). The object of research are the institutions who are defined by the Law of Georgia on Money Laundering and Prevention of Terrorist Financing, In particular: financial institutions, non-financial actors and public institutions. This research covers a wide range of persons covered by the law under each institution and aims to study and analyze the process of risk assessment by accountable individuals. The research highlights the importance of managing these risks properly at the initial stage, both in terms of timely detection of cases of illegal income legalization and terrorist financing, as well as their prevention.

In the financial institutions section, the paper covers the following subjects: Non-bank depository institution - credit union, founder of non-state pension scheme, insurance broker, insurance broker, currency exchange point, commercial bank, microfinance organization, a brokerage company, a payment service provider, an insurance organization, a leasing company, a lending entity, a securities registrar.

In terms of non-financial actors, the paper will cover the following: A lawyer; Attorney's Office; Lottery organizer; Organizer of gambling or winning games; Notary; Certified accountant; A legal entity that provides accounting services and on whose behalf a certified accountant operates; The auditor; Audit firm; A person trading in precious stones or metals.

In terms of public institutions, the paper will cover the following subjects: The legal entity of public law operating in the field of governance of the Ministry of Justice of Georgia - National

Agency of Public Registry, the legal entity of public law within the sphere of governance of the Ministry of Finance of Georgia - Revenue Service.

The legal analysis presented in the paper in the part of secondary goals also serves to raise awareness about the issues to be studied both in the public and private sectors, as well as in certain groups of society.

სარჩევი

აბრევიატურები-----	10
შესავალი -----	11-13
თავი I. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ისტორიული განვითარება -----	14-19
1.1. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ რისკების დაცვის პოლიტიკის განვითარება საქართველოში -----	19-26
თავი II. უკანონო შემოსავლისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში -----	26-29
თავი III. ანგარიშვალდებული პირები -----	29-31
3.1 არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი -----	32
3.2 არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი -----	32-34
3.3 სადაზღვევო ბროკერი, გადაზღვევის ბროკერი -----	34-35
3.4 ვალუტის გადამცვლელი პუნქტი -----	35-36
3.5 კომერციული ბანკი -----	36-38
3.6 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია -----	38-39
3.7 საბროკერო კომპანია -----	39-40
3.8 საგადახდო მომსახურების პროვაიდერი-----	41-42
3.9 სადაზღვევო ორგანიზაცია-----	42-43
3.10 სალიზინგო კომპანია-----	43-44
3.11 სესხის გამცემი სუბიექტი-----	44-45
3.12 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი-----	45-47
3.13 ადვოკატი, საადვოკატო ბიურო-----	47-48
3.14 ლატარიის ორგანიზატორი, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი-----	48-49

3.15 ნოტარიუსი-----	49-51
3.16 ბუღალტერი-----	51-52
3.17 აუდიტორი, აუდიტორული (აუდიტური) ფირმა-----	52-53
3.18 ძვირფასი ქვებით ან ლითონებით ვაჭრობის განმახორციელებელი პირი-----	54
3.19 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო -----	55
3.20 შემოსავლების სამსახური-----	56
თავი IV. საზედამხედველო ორგანოები -----	56-59
თავი V. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის განხორციელების პრობლემები საქართველოში-----	59-64
დასკვნა-----	65-66
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა-----	67-69

აბრევიატურები:

ქართულ ენაზე:

სგს	სესხის გამცემი სუბიექტი
სებ	საქართველოს ეროვნული ბანკი
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ფმს	ფინანსური მონიტორინგის სამსახური

ინგლისურ ენაზე:

AML	Anti Money Laundering
BCCI	Bank of Credit and Commerce International
BSA	Bank Secrecy Act
EC	European Commission
FATCA	Foreign Account Tax Compliance Act
FATF	Financial Action Task Force
FCA	Financial Conduct Authority
KYC	Know your customer

შესავალი

ფულის გათეთრება, ისევე როგორც ტერორიზმის დაფინანსება, საერთაშორისო დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით და ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლში პირდაპირაა საუბარი იმაზე, რომ დაუსაბუთებელი და უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა იწვევს სანქციებს :ფულად ჯარიმასა და თავისუფლების აღკვეთას ვადით 3 დან 6 წლამდე. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს როგორც ერთ, ისე მეორე დანაშაულთან ბრძოლა საერთაშორისო თუ თითოეული ქვეყნის ადგილობრივ დონეზე, აღნიშნული დანაშაულები დღევანდელი მსოფლიოსთვის მაინც ერთ-ერთ ყველაზე საშიშ გამოწვევად რჩება.

ნაშრომში კვლევის საგანს წარმოადგენს არა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების სანქციის სახეები არამედ ამ დანაშაულებისაგან თავის დაცვის მექანიზმი, ანგარიშვალდებული პირების მხრიდან ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის დაცვა და პრაქტიკული ასპექტები საქართველოში.

საქართველო არის ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა და აღებული აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისობა ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის რეკომენდაციებთან. 2003 წლის კანონში „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ რიგი ცვლილებები და დამატებები შევიდა, თავის მხრივ ამან კანონი ბუნდოვანი გახადა და აუცილებელი გახდა შესაბამისი ზომების მიღება, რაც მოგვიანებით გამოიხატა კანონპროექტში , რომელიც ითვალისწინებდა ახალი კანონის მიღებას „ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“. კანონი მიღებულ იქნა 2019 წელს, რაც საქართველოს ნორმატიული ბაზისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო. აღნიშნულმა კანონმა უზრუნველყო საქართველოს მხრიდან საერთაშორისო ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულება, განსაზღვრა უჩვეულო/ საექვო გარიგების გამოვლენისა და შესწავლის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. კანონით განისაზღვრა ანგარიშვალდებული პირები, რომელთაც დაევაღათ რისკების კონტროლი, ასევე განისაზღვრა მათი საზედამხედველო ორგანოები. აღნიშნული კანონი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციისთვის.

კვლევის მიზანია, როგორც ანგარიშვალდებულ პირებში, ასევე საზოგადოებაში, ცნობიერების ამაღლება იმასთან დაკავშირებით, თუ რას გულისხმობს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, როგორ ხდება რისკების მართვა და პრევენცია. თემის მიზანს ასევე წარმოადგენს პრობლემატურ საკითხებზე ყურადღების გამახვილება და ხაზგასმა, თუ სად გადის ზღვარი საჯარო და კერძო ინტერესს შორის, რა რისკის მატარებელია თითოეული სექტორი და როგორ ხდება აღნიშნული პოლიტიკის განხორციელება პრაქტიკულ დონეზე.

საქართველოში „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონი ჯერ კიდევ ახალია და მასში მოცემული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების საკითხი წინა პლანზე უნდა იქნას წამოწეული, მოხდეს ანგარიშვალდებულ პირების ცნობიერების ამაღლება არა მხოლოდ თეორიულ არამედ პრაქტიკულ დონეზეც, რათა არ მოხდეს ერთი უფლების დაცვის მიზნით მეორე უფლების დარღვევა, სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს კვლევის წინაშე დასახულ მიზანს.

კვლევის მეთოდებად ნაშრომში გამოყენებულია როგორც დედუქციური ისე ინდუქციური მეთოდი, მოიცავს მსჯელობის შედარებით და შედარებით სამართლებრივ ანალიზს. მსჯელობა წარმართულია, როგორც საერთაშორისო კანონმდებლობის ნაწილში ისე ქართულ ნორმატიულ ბაზასთან მიმართებით. თემაში შედარებულია შიდა კანონმდებლობები, შეფასებულია და განხილულია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მოწყვლადი ჯგუფები, შესაბამისობის პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკა საქართველოში, საერთაშორისო რეკომენდაციების შესრულების დონე და სხვა ქვეყნაში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების ასპექტები.

ნაშრომის სტრუქტურა შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან.

პირველ თავში საუბარია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ისტორიულ განვითარებაზე, თუ საიდან აიღო სათავე და რა მეთოდებით ახერხებდნენ დამნაშავეები ფულის გათეთრებას, ასევე საუბარია თუ როგორც ცდილობდნენ მთავრობები ამ დანაშაულთან ბრძოლას. ამავე თავის ქვეთავში საუბარია იგივე პოლიტიკის განვითარებაზე საქართველოში, თუ რა გზა გაიარა და როგორ განვითარდა საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა.

მეორე თავში განხილულია საქართველოს დონეზე საკანონმდებლო რეგულაციები, მათი მიღება და მიღებამდე განვლილი გზა. ნორმატიული ბაზის განახლება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ნაწილში.

მესამე თავი მთლიანად მოიცავს ანგარიშვალდებულ პირებს, მათი საქმიანობის განმარტებას. ქვეთავებადაა ჩაშლილი თითოეული ანგარიშვალდებული პირის საქმიანობის სფერო, რისკის დონე და კონკრეტული სექტორის მხრიდან გადადგმული ქმედითი ნაბიჯები.

მეოთხე თავი მოიცავს საზედამხედველო ორგანოებს. განხილულია თითოეული მათგანი რომელ ანგარიშვალდებულ პირს უწევს ზედამხედველობას და რა საქმიანობას ახორციელებს პრაქტიკულად.

მეხუთე თავში საუბარია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის განხორციელების პრობლემებზე საქართველოში. განხილულია საკანონმდებლო დონეზე თუ რომელი კანონი ირღვევა და რომელი სრულდება ანგარიშვალდებული პირების მხრიდან. ასევე განხილულია მანკიერი პრაქტიკა და ანგარიშვალდებული პირები, რომელთა პროფესიული პასუხისმგებლობა ზღუდავს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული შეფასებული რისკების შესაბამისი ორგანოსთვის შეტყობინებას.

ნაშრომი თავისი შინაარსით ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებული პირების მხრიდან ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების პროპორციულ მართვას, პრიორიტეტების შესაბამის განსაზღვრასა და რესურსის მიზნობრივ გამოყენებას.

თავი I

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ისტორიული განვითარება

ფულის გათეთრება, ისევე როგორც ტერორიზმის დაფინანსება, ტრანსნაციონალური დანაშაულია. ფულის გათეთრების წინააღმდეგ (როგორც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ) სხვადასხვა კანონი შეიქმნა 1930-იან წლებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში აკრძალვის პერიოდში (period of Prohibition). 1920-1930 - იან წლებში, ფულის გათეთრების როგორც ტერმინის, ჩამოყალიბება მოხდა მაფიასთან დაკავშირებული პირების საქმიანობის შედეგად. აღნიშნული პირები ფულს იღებდნენ: გამოძალვის, პროსტიტუციის, აზარტული თამაშებისა და ალკოჰოლის უკანონო გაყიდვის შედეგად. იმისათვის, რომ მომხდარიყო უკანონოდ მიღებული ფულისათვის კანონიერი სახის მიცემა, აუცილებელი გახდა ლეგიტიმური ბიზნესის შექმნა და ერთგვარი შენიღბვა იმის თუ რა საქმიანობას ეწეოდნენ სინამდვილეში. მაგალითად: მსგავსი რამ გააკეთა ალ კაპონემ ჩიკაგოში, სადაც მას ჰქონდა ავეჯისა და სამრეცხაოების ქსელი, ხოლო მისი ძირითადი საქმიანობა უკანონო იყო.¹ როდესაც ფულის გათეთრების მეთოდებსა და მის წარმოშობაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია აღინიშნოს მეიერ ლანსკი, რომელსაც ზედმეტსახელად „მაფიის ბულალტერს“ უწოდებენ. მან შეიმუშავა ფულის გათეთრების ერთ-ერთი პირველი მეთოდი-კონცეფცია იმის შესახებ, რომ უკანონო ფულის გარჩევა შეუძლებელი ყოფილიყო უცხოური ბანკების მიერ გაცემული სესხებით. მან იყიდა ოფშორული ბანკი შვეიცარიაში, რათა მარტივად გაეთეთრებინა ფული.

1970 წელს შეერთებულ შტატებში კონგრესმა მიიღო საბანკო საიდუმლოების შესახებ კანონი ("BSA") „ვალუტის უცხოური გარიგების შესახებ ანგარიშის აქტი“ - ბანკის

¹ Margaret E.BEARE Encyclopedia of transnational crime and justice(York university, Toronto, Canada)

საიდუმლოების შესახებ კანონი ("BSA") . აღნიშნული აქტის მიზანი იყო ფულის გათეთრების გამწვანება და ამავე დროს აშშ-ს ბანკების საქმიანობისათვის ხელშეწყობა.²

ფულის გათეთრება თავის თავში მოიცავთ მართლაც საერთაშორისო დანაშაულის ნიშნებს, იგი გლობალური ფენომენია, როგორც გაეროს 1993 წლის მოხსენებაში აღინიშნა: ფულის გათეთრების, როგორც დანაშაულის ძირითად მახასიათებლებს მიეკუთვნება მისი გლობალური და ტრანსნაციონალური ხასიათი, ოპერაციების ადაპტირება და მოქნილობა, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება, პროფესიონალური დახმარება და უზარმაზარი რესურსები.

ფულის გათეთრების არაერთი გნმარტება არსებობს. მაგალითად ევროპული საზოგადოების (EC) 1990 წლის მარტის დირექტივის პროექტის პირველი მუხლის მიხედვით: ქონების გადაცემა ან მისთვის კანონიერი სახის მიცემა, როდესაც ასეთი ქონება მიღებულია სერიოზული დანაშაულის გზით, უკანონო ქონების დამალვის ან შენიღბვის მიზნით, ან ნებისმიერი პირის დასახმარებლად, რომელიც მონაწილეობს ამგვარი დანაშაულის ჩადენაში სამართლებრივი შედეგების თავიდან აცილების მიზნით. უკანონოდ მიღებული ქონების/შემოსავლის წყაროს, ადგილმდებარეობის, განლაგების, გადაადგილების, საკუთრების უფლების ან ამ უფლების დამალვა ან შენიღბვა , რომ ასეთი ქონება მიღებულია სერიოზული დანაშაულის შედეგად.

მრავალი მთავრობის მიერ აღიარებულია და მიღწეულია შეთანხმებები ფინანსურ და იურიდიულ ფრონტზე, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ. ფინანსური პრინციპების საფუძველს წარმოადგენს, საბანკო საქმიანობის რეგულირების კომიტეტისა და საზედამხედველო პრაქტიკის გამოქვეყნება, რომელიც გამოქვეყნებულ

² Anti-MoneyLaundering: Historyand CurrentDevelopmentsMichael J. Anderson, MBA*Tracey A. Anderson, JD,LLM, CPA

იქნა 1988 წლის დეკემბერში. იგი ვრცელდება საბანკო სისტემის საშუალებით ფულის გათეთრების ყველა ასპექტზე.³

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობის თავიდან აცილების მიზნით ანგარიშვალდებულმა პირმა/სექტორმა უნდა განახორციელოს დადგენილი პოლიტიკა:

- იცნობდეთ თქვენს მომხმარებელს- ანგარიშვალდებულმა პირებმა არ უნდა დაიშურონ ძალისხმევა, რომ დაადგინონ მომხმარებლის ნამდვილი ვინაობა და განახორციელონ პროცედურები, რომლებიც იქნება ეფექტური.
- კანონების დაცვა-ყველა ანგარიშვალდებული პირი უნდა დაემორჩილოს საზედამხედველო ორგანოს, უზრუნველყოს, რომ ყველა მომსახურება ხორციელდებოდეს მაღალი ეთიკური სტანდარტის შესაბამისად, დაიცვას რეგულაციები და კანონები და არ მოემსახუროს მაშინ, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ გარიგებები დაკავშირებულია ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობასთან.
- თანამშრომლობა სამართალდამცავ სააგენტოებთან-ნებისმიერი საფუძვლიანი ვარაუდის დროს ანგარიშვალდებული პირები ვალდებულნი არიან, ითანამშრომლონ სამართალდამცავ ან ზემდგომ ორგანოებთან.

საერთაშორისო ინიციატივებით, იურიდიულ ფრონტზე, სხვადასხვა მნიშვნელოვანი აქტი იქნა მიღებული. მაგალითად: გაეროს კონვენცია ტრეფიკინგის წინააღმდეგ, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების წინააღმდეგ. 1988 წლის 19 დეკემბერი. ეს გახლდათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულება ბოლო 50 წლის განმავლობაში.⁴ აღნიშნული ხელშეკრულება მოითხოვს

³ Alex Ferguson - Legal Adviser, Caribbean Criminal Asset Recovery Programme

⁴ გაეროს კონვენცია ტრეფიკინგის წინააღმდეგ, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების წინააღმდეგ. 1988 წლის 19 დეკემბერი

ხელმომწერ სახელმწიფოებს შორის, ნარკომანიით ფულის გათეთრების კრიმინალიზაციას და განსაზღვრავს აღსრულების წესს. ხელშეკრულებით ასევე ანგარიშვალდებულ სახელმწიფოებს ევალებათ სრული და სწრაფი თანამშრომლობა ხელმომწერ სახელმწიფოებს შორის.

ფულის გათეთრება შეიძლება დაფუძნებული და შენიღბული იყოს სხვადასხვა მომსახურების სფეროში, მაგალითად: ერთ-ერთი მათგანი შეიძლება იყოს ვაჭრობაში დაფუძნებული ფულის გათეთრება. ფულის გათეთრების ტექნიკის უმარტივეს ფორმას წარმოადგენს საქონლის ინვოისირება. მსოლიოში 135 ქვეყანაში 3000-ზე მეტი თავისუფალი სავაჭრო ზონაა. მათ ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს ექსპორტისათვის ხელისშეწყობა. მართალია თავისუფალი სავაჭრო ზონა ხელს უწყობს ექსპორტს მაგრამ მეორე მხრივ ფულის გათეთრების ერთ-ერთი საშუალებაა. ამ გზით პირებს შეუძლიათ გამოიყენონ უკანონოდ მიღებული ფული და იყიდონ საქონელი, რომელიც ხელახლა გაიყიდება „სუფთა“ ფულის მისაღებად.⁵

სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა უწყებები ცდილობენ თავიდან აირიდონ და ხელი შეუშალონ ფულის გათეთრებას მაგრამ ყოველწლიურად 2 ტრილიონი დოლარი მაინც თეთრდება. ეს არის თანხა, რომელიც საზიანოა ყველა გაანგარიშებით და მოიცავს ფინანსურ სისტემებს. წლების განმავლობაში არაერთი მაგალითი დაგროვდა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკაში. ზოგიერთ მათგანი კი ქვემოთ იქნება განხილული:

საკრედიტო და კომერციული საერთაშორისო ბანკი (BCCI) დაარსდა 1972 წელს პაკისტანელი ბიზნესმენის ალა ჰასან აბედის მიერ ლუქსემბურგში. ბანკმა დაფინანსების უმეტესი ნაწილი მიიღო აბუ-დაბიდან სანამ მისი შტაბი ბელგიაში იყო დაფუძნებული, იგი მალე გლობალურად გააფართოვდა და მოქმედებდა გაერთიანებული სამეფოს გარეთ.

⁵ Alex Ferguson - Legal Adviser, Caribbean Criminal Asset Recovery Programme

ბანკი შედარებით სწრაფად გაიზარდა და პრობლემებმაც მალევე იჩინა თავი. 1988 წელს, BCCI დაადანაშაულეს ფულის გათეთრების პირველ შემთხვევაზე აშშ-ში. 1990 წლისთვის, Price Waterhouse- ის გამოძიების შემდეგ, წამოიჭრა ბრალდება რომ BCCI აყალბებდა გარიგებებს. წლის ბოლოს გაირკვა, რომ ბანკში ხდებოდა დიდი ოდენობის არარეგულირებადი ტრანზაქციები. BCCI დაადანაშაულეს ფულის გათეთრებაში სადამ ჰუსეინთან, აბუ ნადალთან, სამუელ დოსა და სხვა არაკეთილსინდისიერი პერსონაჟებთან მიმართებით. 1991 წელს ბანკი დაიხურა დიდ ბრიტანეთში და მსოფლიოს სხვა ტერიტორიებზეც.⁶

ასევე ერთ-ერთ განსაკუთრებულ შემთხვევას განეკუთნება ნაურუ. იგი 1990-იან წლებში გადაიქცა ერთგვარ საგადასახადო თავშესაფარად, რომლითაც რუსეთი სწრაფად დაინტერესდა, ისევე როგორც ალ-ქაიდა და დაიწყო ნაურუში ფულის გათეთრება ბანკების მეშვეობით. მოკლე დროში ნაურუში მოხდა 70 მილიარდის გათეთრება. 2002 წელს კი აშშ-ს ხაზინამ ნაურუ ფულის გამთთრებელ სახელმწიფოდ აღიარა და მკაცრი სანქციებიც დააკისრა.

როდესაც თაღლითური სქემებით ფულის გათეთრების დიდ ოდენობაზე ვსაუბრობთ უნდა ვახსენოთ Danske Bank ეს იყო მსოფლიო ბაზარზე კარგი რეპუტაციის მქონე დანიის უმსხვილესი ბანკი. აღნიშნული ბანკი იღებდა არარეზიდენტების მხრიდან დიდ დეპოზიტებს , 2013 წლის მონაცემებით მისი მოგების 99 % არარეზიდენტი პირების მიერ გადმორიცხული გახლდათ. გადმორიცხვის ადგილი კი რუსეთი ან ყოფილი საბჭოთა კავშირის, რომელიმე ქვეყანა იყო. 2016-2017 წლიდან მასზე მკაცრი კონტროლი მიმდინარეობდა, დანიის ეს უმსხვილესი ბანკი დააჯარიმეს და იძულებული გახდა საქმიანობა შეეჩერებინა ესტონეთშიც. როგორც გამოძიებით გაირკვა აღნიშნულ საფინანსასო სექტორში 229 მილიარდი დოლარი იყო გათეთრებული.

⁶ KYC-Chain — Scalable Customer Onboarding Solution
<https://medium.com/kyc-io-scalable-kyc-management-solutions/the-5-largest-money-laundering-scandals-of-all-time-so-far-d30ff4abee10> (The 5 Largest Money Laundering Scandals of All Time)

standard Chartered Bank არის დიდი ბრიტანეთის ინსტიტუტი, რომელიც ოფიციალურად მუშაობს 1969 წლიდან. 2004 წელს Standard Chartered-ს ჰქონდა პრობლემები ფედერალური სარეზერვო და ნიუ – იორკის რეგულატორთან AML პრაქტიკის არარსებობის გამო. მან ხელი მოაწერა წერილს, რომელიც ეთანხმებოდა ბანკის ყოველი მოქმედების გამჭვირვალობას და ეს იყო ერთგვარი პირობა, რომ ბანკის საქმიანობა იქნებოდა კანონიერი. 2005 და 2006 წლებში, ბანკმა უგულებელჰყო ხელშეკრულების პირობები. ბანკი 2012 წელს 670 მილიონი დოლარით დააჯარიმეს დანაშაულის ჩადენის გამო, მაგრამ ჯარიმამ ვერ შეაჩერა მისი უკანონო მოქმედების პრაქტიკა. ფინანსური ქცევის ორგანომ (FCA) ასევე აღმოაჩინა სერიოზული ნაკლოვანებები ბანკის AML კონტროლში, კერძოდ, მომხმარებელთა გულმოდგინებასთან დაკავშირებით. ბრიტანეთისა და აშშ-ს ხელისუფლებამ ბანკი Standard Chartered დააჯარიმა ჯამში 1,1 მილიარდი დოლარით. თუმცა გათეთრებული ფულის ოდენობამ 250 მილიარდ დოლარს მიაღწია.⁷

2020 წლის 21 მაისს ცვლილება შევიდა გაეროს უშიშროების საბჭოს სანქცია დაკისრებულ პირთა სიაში. გაეროს უსაფრთხოების საბჭოს სპეციალური ცნობა აფრთხილებს მსოფლიო პოლიციას იმ პირთა მიმართ, რომლებიც ექვემდებარებიან სანქციებს, რომლებიც დაწესებულია გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მიერ. სამი ყველაზე გავრცელებული სანქციაა აქტივების გაყინვა, მგზავრობის აკრძალვა და იარაღის ემბარგო.⁸

1.1. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ რისკების დაცვის პოლიტიკის განვითარება საქართველოში

რაც შეეხება საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკას, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით, საქართველოს დაეკისრა რიგი ვალდებულებები ევროკავშირთან მიმართებით, აქედან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ვალდებულებათაგანს წარმოადგენს

⁷ <https://medium.com/kyc-io-scalable-kyc-management-solutions/the-5-largest-money-laundering-scandals-of-all-time-so-far-d30ff4abee10>

⁸ <https://www.un.org/press/en/2020/sc14195.doc.htm>

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების გამოვლენა და აღკვეთა. საქართველო ასევე მონაწილეობს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) საქმიანობაში. ეს უკანასკნელი არის ერთგვარი შემფასებელი ქვეყნების საკანონმდებლო რეგულაციების, აფასებს აღნიშნული რეგულაციები არის თუ არა თავსებადი ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) სტანდარტებთან. რაც შეეხება ფინანსური ქმედების სპეციალურ ჯგუფს (FATF), მის მთავარ მოთხოვნას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების მართვა და შეფასება წარმოადგენს.

საქართველოში არსებობს შესაბამისი სამსახური, რომლის ძირითად მიზანს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა წარმოადგენს. ეს სამსახური არის ფინანსური მონიტორინგის ბიურო, რომელიც თანამშრომლობს ანგარიშვალდებულ პირებთან, საზედამხედველო ორგანოებთან, სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის განმახორციელებელ სამსახურებთან და მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური 2004 წლიდან არის ეგმონტის ჯგუფის (Egmont Group) წევრი.

ეგმონტის ჯგუფი შეიქმნა 1995 წელს 9 ივნისს. მისი სახელწოდება მომდინარეობს ბრიუსელში პირველი შეკრების ადგილის - ეგმონტ-არენბერგის სასახლის სახელწოდებიდან. აღნიშნული ჯგუფის მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის უწყებებს შორის თანამშრომლობის კოორდინაციისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა. ეგმონტის ჯგუფში დღესდღეობით 164 ქვეყნის შესაბამისი უწყებებია გაერთიანებული.⁹

2010 წლიდან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ინტენსიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან და დიდი წვლილი შეიტანა

⁹ <https://www.egmontgroup.org/en/content/about>

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დახვეწასა და სრულყოფაში. ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციის მიხედვით 2010 წელს შემუშავებულ იქნა კანონპროექტი უკვე არსებულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ. ამ ცვლილებებით მოხდა საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების თანხვედრა ევროკავშირის მესამე დირექტივით (2005/60/EC) განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

კანონის დახვეწისა და განვითარების შემდეგ ეტაპზე მოხდა პოლიტიკურად აქტიურ პირთა დეფინიცია, ტერმინოლოგიური განსაზღვრა და მონიტორინგის განმახორციელებელ პირთა წრის დადგენა. ამან იმ თავითვე ხელი შეუწყო ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მე-6 რეკომენდაციის იმპლემენტაციას. ზუსტად ამ მიზნით განხორციელდა ცვლილებები: „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონში, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში, „დაზღვევის შესახებ“ და „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონებში.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ინიციატივით მოხდა ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ტექნიკური დახმარების პროექტის იმპლემენტაცია. რომელიც თავის თავში მოიცავს ეროვნული სისტემის გაძლიერებას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ.¹⁰

რაც შეეხება საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის პოლიტიკის ქრონოლოგიურ განვითარებას შემდეგ წლებში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2011 წელს ცვლილებები შევიდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონში, კერძოდ საყურადღებო ზონების განსაზღვრის უფლებამოსილება საქართველოს მთავრობის ნაცვლად მიენიჭა ეროვნულ ბანკს. ამავე წელს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 24 აგვისტოს N65/04 ბრძანებით

¹⁰ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2010 წლის ანგარიში

განსაზღვრა საყურადღებო ზონების ნუსხა. მოხდა მონიტორინგის განმახორციელებელ პირთა ვალდებულებების დაზუსტება. ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის რეკომენდაციებისა და ევროკავშირის მესამე დირექტივის მოთხოვნების მიხედვით.¹¹

- FATF-ის მე-13 რეკომენდაციის მოთხოვნების სრულად განხორციელების მიზნით საქართველოს კანონში დაზუსტდა საექვო გარიგების დეფინიცია.
- FATF-ის მე-12 და მე-16 რეკომენდაციების იმპლემენტაციისა და ევროსაბჭოს რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, ამავე სფეროში ქართული კანონმდებლობის მოქმედების არეალი გავრცელდა სალიზინგო კომპანიებსა და იმ პირებზე, რომლებიც ეწევიან საბუღალტრო ან/და აუდიტორულ მომსახურებას.
- ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის მე-5 რეკომენდაციის იმპლემენტაციის მიზნით არსებითად შეიცვალა კანონის ის ნაწილი სადაც საუბარი იყო მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მხრიდან გარიგების დროს ინფორმაციული დოკუმენტების აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებით.
- FATF-ის მე-13 რეკომენდაციის მიხედვით მოხდა ცვლილება ვალდებულების მქონე პირების მხრიდან ანგარიშის წარდგენის ვადებთან დაკავშირებით.

2011 წლის FATF-ის რეკომენდაციებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს N1267 და N1373 რეზოლუციების მოთხოვნების შესაბამისად, ამ თემაზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შექმნისა და მისი უფლებამოსილების განსაზღვრის აუცილებლობის მიზნით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონში შევიდა რიგი დამატებები.¹²

საქართველოში ყოველწლიურად მეტად და მეტად იხვეწებოდა და ვითარდებოდა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა. საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავდა რა ანგარიშვალდებულ პირებს და მათი მოქმედების

¹¹ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 24 აგვისტოს N65/04 ბრძანება

¹² საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2011 წლის ანგარიში

არეალს, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება და სწორი ანალიზი. საქართველო ცდილობდა საერთაშორისო დონეზე ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოთამაშე გამხდარიყო. ამგვარმა მიდგომებმა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის პოლიტიკის დახვეწამ ხელი შეუწყო იმ ფაქტს რომ უკვე 2013 წლიდან წინა წლებთან შედარებით შეინიშნებოდა კომერციული ბანკების მხრიდან საექვო გარიგებებისა და ანგარიშგებების კლება, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამავე წლიდან უკვე იმატა სხვადასხვა ჰაკერულმა ქმედებამ, რომელთა ძირითად სამიზნეს წარმოადგენდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. აღნიშნული, რა თქმა უნდა, ემსახურებოდა თაღლითურ სქემებს. ასევე გამოიკვეთა ერთგვარი ტენდენცია, რომ იქმნებოდა იურიდიული პირები, ხდებოდა მათი რეგისტრაცია და საქართველოს მოქალაქეების ჩართვა სხვადასხვა თაღლითურ სქემაში. მაგ: აფრიკის ქვეყნის მოქალაქეები სთავაზობდნენ საქართველოს ქვეყნის მოქალაქეებს გარკვეული ანაზრაურების სანაცვლოდ დაეფუძნებინათ კომპანია რომლის ანგარიშზეც ჩაირიცხებოდა დიდი თანხა, ისინი გამოიტანდნენ მას და გადასცემდნენ სხვას.¹³

2013 წელს საქართველოში უკვე აღინიშნებოდა შიდა თანამშრომლობის განვითარების სხვა ეტაპზე გადასვლა. ამავე წლის 16 მაისს ხელმოწერილ იქნა ურთიერთგაგების მემორანდუმი „სამართალდამცავ სფეროში უწყებათაშორისი თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლების შესახებ“, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობდა დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობას, ოპერატიულობასა და მოქნილობას, სხვადასხვა უწყებებს შორის თანამშრომლობის გზით. ასევე სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობის საფუძველზე ცვლილებები შევიდა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში, ამ კანონის მოქმედება გავრცელდა ადვოკატებზე.

¹³ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2013 წლის ანგარიში

ადვოკატების მხრიდან ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების, საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

2013 წელს საქართველოს მხრიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება იქნას მიჩნეული ის ფაქტიც, რომ საქართველოს პარლამენტმა საკუთარი დადგენილებით #1460-ის თანხმობა განაცხადა სავალდებულოდ ელიარებინა ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“¹⁴

2014 წელს საქართველოს კანონში „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის“ შესახებ ცვლილებები შევიდა და მისი მოქმედების არეალი გავრცელდა საგადახდო მომსახურებისა და ელექტრონული ფულის პროვაიდერზე.¹⁵

საქართველოში ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა უფრო და უფრო ვითარდებოდა. იხვეწებოდა საკანონმდებლო ბაზა და ცნობიერების ამაღლება ანგარიშვალდებულ პირებში. მხოლოდ 2015 წელს 103 საქმე გამოვლინდა შესაბამისი უწყებების მხრიდან , აქედან 7 ტერორიზმის შესაძლო დაფინანსების სავარაუდო შემთხვევა გახლდათ. გამოვლენილი დანაშაულის ოდენობა აშკარად აღემატებოდა წინა წლებში გამოვლენილ დანაშაულებს ამ სფეროში.¹⁶

2016 წელს გამოაშკარავდა თაღლითური სქემები და ფულადი ჩარიცხვები ისეთი საერთაშორისო საგადახდო პროვაიდერებიდან როგორებიცაა PayPal და Webmoney, აღნიშნული გადარიცხვები მალევე ირიცხებოდა მესამე ქვეყანაში და საქართველოს

¹⁴ Council of Europe Convention on Laundering, Search, Seizure and Confiscation of the Proceeds from Crime and on the Financing of Terrorism * Warsaw, 16.V.2005

¹⁵ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2014 წლის ანგარიში

¹⁶ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2015 წლის ანგარიში

შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტის სახელზე კი მოდიოდა შეტყობინება თანხის უკან დაბრუნების შესახებ.¹⁷

აღსანიშნავია , რომ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის“ შესახებ კანონში 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით განსაზღვრული იყო არა მხოლოდ მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, არამედ ამ, პირების მხრიდან მონიტორინგს დაქვემდებარებული ტრანზაქციებიც. ანგარიშვალდებული პირების ვალდებულებას წარმოადგენდა ინფორმაციის გადაგზავნა ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის, კერძოდ კანონით გათვალისწინებული, მონიტორინგს დაქვემდებარებული ყველა გარიგება მათ შორის იყო 30000 ლარს ზემოთ განხორციელებული ტრანზაქცია ,უნდა გაგზავნილიყო შეტყობინების სახით ფმს-ში.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შეთანხმებით საქართველომ რიგი ვალდებულებების შესრულება აიღო საკუთარ თავზე. 2017 წელს დაიწყო მუშაობა კანონპროექტზე რომლის მიხედვითაც საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მოყვანილი ევროკავშირის მეოთხე დირექტივის (Directive (EU) 2015/849 of the European Parliament and of the Council of 20 May 2015 on the prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing, amending Regulation (EU) No 648/2012 of the European Parliament and of the Council) , FATF- ის რეკომენდაციების „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“, გაეროს რეზოლუციებისა და ევრო საბჭოს კონვენციის მოთხოვნებთან. ¹⁸

2018 წელს გაგრძელდა აღნიშნულ კანონპროექტზე მუშაობა, რაც თავის თავში მოიცავდა „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონმდებლობის მიღებას და არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას. ამავე წელს

¹⁷ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2016 წლის ანგარიში

¹⁸ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2017 წლის ანგარიში

ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცდა დებულება „გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის“ შესახებ.¹⁹

2019 წელს კი საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონპროექტი და მიიღო კანონი „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ , რაც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ქვეყნის საკანონმდებლო სივრცის შესაბამისობაში მოსაყვანად ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან.

თავი II

უკანონო შემოსავლისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში

საქართველომ ევროკავშირთან გაფორმებული შეთანხმებით ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ვალდებულებაც აიღო. ბუნებრივია ამან გავლენა მოახდინა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთასთან დაკავშირებულ პოლიტიკის განხორციელებაში, ნორმატიული ბაზის დახვეწასა და პრაქტიკაში რეალიზების საკითხზე.²⁰

წლების განმავლობაში საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში არაერთი სამსახურია ჩართული. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (ფმს), რომელიც უზრუნველყოფს რეკომენდაციების გაცემას, ტრენინგებსა და მონიტორინგს როგორც ქვედა რგოლზე ისე საზედამხედველო ორგანოებზე. თავის მხრივ საზედამხედველო ორგანოები გამოსცემენ ბრძანებებს და აძლევენ დაქვემდებარებულ სტრუქტურებს რეკომენდაციებსა თუ მითითებებს იმასთან დაკავშირებით თუ , როგორ

¹⁹ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N253/04 ბრძანება

²⁰ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება .2019 წლის ანგარიში. გვ.3

განახორციელონ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება და ანალიზი.

როგორც წინა თავში იქნა აღნიშნული 2019 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“. ეს იყო კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოს მხრიდან, რათა ქართული კანონმდებლობა შესაბამისობაში ყოფილიყო ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან. ვალდებულების შესრულებას თვალყურს ადევნებს ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL).

საქართველოში მანამდე მოქმედმა კანონმდებლობამ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ სათავე აიღო 2003 წლის 6 ივნისს. გარკვეული დროის მანძილზე მასში შედიოდა სხვადასხვა სახის ცვლილებები და დამატებები, კანონიც მეტად რთულად გასაგები ხდებოდა, როგორც საზოგადოებისთვის ისე ანგარიშვალდებული პირებისთვის. ხოლო 2019 წელს მიღებულ კანონში დაზუსტდა პრევენციული ღონისძიებების გატარების პროცესი და მიზანი, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი იყო. დღევანდელი კანონმდებლობით უკვე პრევენციული ღონისძიების გატარება ანგარიშვალდებულ პირს აკისრია ნებისმიერ შემთხვევაში საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას. კანონმდებლობის ძირითადი ცვლილებები და დამატებები დაემყარა ევროკავშირის მეოთხე დირექტივას, გაეროს წესდების VII თავს, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების მოთხოვნებსა და FATF-ის რეკომენდაციებს.²¹

2019 წლის გარდა საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების მართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო 2018 წელიც, როდესაც ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა დებულება „გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის

²¹ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“

შესახებ“, ამ უკანასკნელით ზედმიწევნით განისაზღვრა ის პირები, რომლებზეც ვრცელდებოდა დებულება. დოკუმენტმა განსაზღვრა გადამხდელისა და მიმღების შესახებ სავალდებულო სახის რეკვიზიტების ჩამონათვალი, რომლებიც თან უნდა ახლდეს ნებისმიერ გადარიცხვას. კერძოდ აღნიშნული დებულება ვრცელდება ისეთ გადარიცხვებზე, რომლის გადამხდელის ან/და მიმღების მომსახურების გამწევი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ან ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადასახადო მომსახურების პროვაიდერია.

მნიშვნელოვანია ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება(№253/04), რომელიც ნებისმიერი ტრანზაქციის დროს ანგარიშვალდებულ პირებს ავალდებულებს განახორციელონ შემოწმება (ვერიფიკაცია) „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული პირის ვერიფიკაციისა და დოკუმენტაციის შენახვის მოთხოვნების შესაბამისად.²²

გარკვეული ცვლილებები შევიდა საქართველოს ნორმატიულ ბაზაში. სხვადასხვა კანონმდებლობამ, რომლებიც არ შეესაბამებოდნენ „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს განიცადეს რიგი ცვლილებები და დამატებები, კერძოდ ცვლილებები შევიდა:

- „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში
- საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში
- „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში
- „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში
- „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში

²² საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება(№253/04)

- „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში
- „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში
- საქართველოს კანონში „თავისუფლების ქარტია“
- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში²³

ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი XV ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის თაობაზე“ ევროკავშირის IV (2015/849) დირექტივასთან.

თუმცა მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა საქართველოს აქვს სხვა საერთაშორისო ვალდებულებებიც, რომლებიც იმპლემენტაციას საჭიროებს.

თავი III

ანგარიშვალდებული პირები

საქართველოს კანონის „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ მესამე მუხლში ჩამოთვლილია ის პირები, რომლებიც ვალდებულნი არიან საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის ხელშეწყობის პრევენციის გამო განახორციელონ რისკების მართვა და ხელი შეუწყონ საწყის ეტაპზე საექვო გარიგების გამოვლენას, რათა თავიდან იქნეს აცილებული აღნიშნული დანაშაულები. ფულის გათეთრების ისევე როგორც ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის პრობლემა არა მხოლოდ საქართველოში არამედ მთელს მსოფლიოში არსებობს. სწორედ ამიტომაც ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობა საერთაშორისო დანაშაულებად მიჩნეული.

²³ <https://info.parliament.ge/#law-drafting/18321>

ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა პრევენციული ზომა რისკის ანალიზისთვის. რისკის შეფასებისას აუცილებელია გამოიყენოს რიგი მიდგომები, მაგალითად: კლიენტის შესახებ შეაგროვოს ინფორმაცია, შეაგროვოს ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ და შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვროს კლიენტთან დაკავშირებული რისკი, უკვე იდენტიფიცირებული რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით მიანიჭოს კლიენტს შესაბამისი რისკის დონე (დაბალი, საშუალო ან მაღალი), განსაზღვროს გამოსაყენებელი პრევენციული ღონისძიებები.

ანგარიშვალდებული პირი უნდა იცნობდეს თავის კლიენტს/მომხმარებელს და მოქმედებდეს სტანდარტით „ იცნობდე შენს მომხმარებელს“ (KYC). აღნიშნული სტანდარტი გულისხმობს კლიენტებისა და მათი საქმიანობის შემოწმების მუდმივ პროცესს და სხვა საჭირო ინფორმაციის დამატებასა თუ არსებულის განახლებას. პრევენციული ღონისძიებები თავის მხრივ შეიძლება იყოს სამი სახის :

გამარტივებული- დაბალი რისკის მქონე კლიენტებთან, სტანდარტული- საშუალო რისკის მქონე კლიენტებთან და მაღალი რისკის მქონე კლიენტებთან-მაღალი. პრევენციული ზომის ხასიათიდან და რისკის დონიდან გამომდინარე განისაზღვრება კლიენტის მონიტორინგის სიხშირეც.²⁴

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირები, რომლებიც წარმოადგენენ საფინანსო სექტორს 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით თავის თავში მოიცავს: 15 კომერციულ ბანკს, 2 საკრედიტო კავშირს, 50 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, 18 სადაზღვეო ორგანიზაციასა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელს, 10 საბროკერო კომპანიას, 4 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, 806 ვალუტის გადამცვლელ პუნქტს, 12 სალიზინგო კომპანიას და 46 საგადახდო მომსახურების პროვაიდერს. რაც შეეხება არასაფინანსო სექტორს , საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში

²⁴ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 1 ნოემბრის ბრძანება N210/04

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხვაზე არიან: 329 ნოტარიუსი, 296 ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მომწოდებელი პირი, 400 აუდიტორული კომპანია, 24 სამორინე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შემოსავლების სამსახური და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატები.²⁵

მსოფლიოში წლების მანძილზე იხვეწება და ვითარდება ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა. შეიქმნა სხვადასხვა ბაზები და განისაზღვრა სარისკო ზონები. უკვე ხსენებული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენენ პირები რომლებმაც უშუალოდ უნდა განახორციელონ და პრაქტიკაში გაატარონ რისკის მართვა. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განსაზღვრავს შესაბამის კანონმდებლობასთან მიმართებით ანგარიშვალდებულ პირებს.

საქართველოს კანონში „ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ მე-3 მუხლში სრულადაა ჩამოთვლილი თუ რომელი პირები მიიჩნევიან ანგარიშვალდებულად ამავე კანონის მიზნებისთვის.

2020 წელს გამოქვეყნდა ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის ბრძანებები , რომლებიც ითვალისწინებენ ანგარიშვალდებულ პირების მხრიდან გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვას, შენახვასა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესის განსაზღვრას²⁶ და ანგარიშვალდებულ პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცებას.²⁷

²⁵სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2019 წლის ანგარიში.

²⁶ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის ბრძანება №1.

²⁷ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის ბრძანება №2.

3.1 არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება საკრედიტო კავშირი

საკრედიტო კავშირი როგორც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ არის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება. საკრედიტო კავშირი მხოლოდ თავის წევრებზე გასცემს სესხებს და მათგანვე იღებს ანაზრებს, შესაბამისად იგი პირთა წევრობაზე დაფუძნებული სუბიექტია.

საკრედიტო კავშირები საქართველოში განსაკუთრებული პოპულარობით რეგიონებში სარგებლობენ. 2017 წელს არასაბანკო საკრედიტო კავშირების პორტფელმა 5.7 მილიონი ლარი შეადგინა.რაც შეეხება მის დეპოზიტებს კი 6.9 მილიონი ლარი. 2018 წლიდან საკრედიტო კავშირების რაოდენობა შედარებით შემცირდა,რაც თავის მხრივ შეიძლება ითქვას, რომ გამოწვეული იყო საკანონმდებლო ცვლილებებით, კერძოდ კი კანონმდებლობის თანახმად საკრედიტო კავშირის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ერთი თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ფიზიკური პირები. დღესდღეობით საქართველოში საკრედიტო კავშირის სექტორი შედარებით მცირეა, ხოლო მისი კლიენტების წრეს კი ძირითადად რეზიდენტები წარმოადგენენ ,აქედან გამომდინარე მცირეა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკიც.²⁸საკრედიტო კავშირის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი.

3.2 არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი

არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი არის იურიდიული პირი,რომელიც აფუძნებს შესაბამის სქემას და უზრუნველყოფს ფიზიკურ პირებზე არასახელმწიფო პენსიების გაცემას.

ისეთ ქვეყნის ეკონომიკისთვის, როგორც საქართველოა ძალზედ მნიშვნელოვანი როლი უკავია არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემებს. არასახელმწიფო საპენსიო

²⁸ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება .2019 წლის ანგარიში

სისტემის ზრდა სოციალური დაცვის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. ამ დროს მოქმედებს ეგრეთწოდებული დაგროვებითი პრინციპი, რაც გულისხმობს , რომ არასახელმწიფო საპენსიო ფონდის მონაწილე აკეთებს შენატანებს , აღნიშნული შენატანები გროვდება მის სახელზე და საპენსიო ასაკის მიღწევასას უბრუნდება პენსიის სახით. საქართველოში ასევე არსებობს საპენსიო დაზღვევაც, რომელიც აღნიშნულ დაგროვებით პრინციპზეა აგებული.²⁹

ისე როგორც სხვა ანგარიშვალდებულ პირებს, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელ იურიდიულ პირებსაც ეკისრებათ ვალდებულება დაიცვან ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება და უზრუნველყონ მათი სათანადო მართვის პროცესი. ისინი ვალდებული არიან გაატარონ შესაბამისი პოლიტიკა სანამ საქმიან ურთიერთობაში შევლენ კლიენტთან. ხოლო უშუალო საქმიანი ურთიერთობის ეტაპზე განახორციელონ არსებული საშუალო ან მაღალი რისკის მქონე კლიენტების ეტაპობრივი იდენტიფიკაცია -ვერიფიკაციის პროცედურები.

არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელმა არასახელმწიფო საპენსიო სქემის მონაწილე უნდა განიხილოს , როგორც რისკფაქტორის მატარებელი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაინანსების მაღალი რისკი გამოვლინდა

საპენსიო დანაზოგის გაცემამდე ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განახორციელოს კანონით განსაზღვრული გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები.³⁰

არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელ იურიდიულ პირებზე ზედამხედველობას ახორციელებს სსიპ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

2020 წლის თებერვალში პარლამენტში შევიდა კანონპროექტი, რომლის ინიციატორებიც არიან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და

²⁹ სამეცნიერო ჟურნალი "ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა" N 1. 2015 წელი
თენგიზ ვერულავა; არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევა საქართველოში;

³⁰ „ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონი. მუხლი 15.

საქართველოს ეროვნული ბანკი. აღნიშნული კანონპროექტის საფუძველზე ცვლილებები შევიდა „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონშიც. ამ უკანასკნელში განსახორციელებელი ცვლილებებით, აღარ იარსებებს არასახელმწიფო საპენსიო სქემის აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიცენზირების სპეციალური წესი . აქედან გამომდინარე, საქართველოში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურებას განახორციელებენ ის ლიცენზირებული სუბიექტები, რომლებსაც ლიცენზიის საფუძველზე მინიჭებული აქვთ აქტივების მართვის ან ფინანსური ინსტრუმენტების შენახვის მომსახურების შესაბამისი უფლებამოსილება.³¹

3.3 სადაზღვეო ბროკერი, გადაზღვევის ბროკერი

სადაზღვეო ბროკერი შესაძლოა იყოს იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე, რომელმაც საქმიანობის დაწყებისთვის უნდა გაიაროს სპეციალური რეგისტრაცია სსიპ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში.

სადაზღვეო ბროკერი ძირითადად დამოუკიდებელია და ახორციელებს საშუამავლო საქმიანობას .³² 2019 წლიდან სადაზღვეო ბროკერები გახდნენ ანგარიშვალდებული პირები „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მიზნებიდან გამომდინარე. ამიტომ სადაზღვეო კომპანიები მაშინ როდესაც პრევენციულ ღონისძიებებს ატარებენ შეიძლება ითქვას თავს იკავებენ ბროკერებზე როგორც მესამე პირებზე დაყრდნობისაგან.³³ სადაზღვეო ბროკერის ვალდებულებები შესაბამისი კანონმდებლობით ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსების

³¹ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

³² საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“

³³ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება .2019 წლის ანგარიში

რისკების მართვასთან დაკავშირებით არც თუ ისე დიდი ხნის წინ განისაზღვრა, ამიტომ დიდი პრაქტიკა ამ მიმართულებით საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არის.

სადაზღვეო ბროკერზე ისევე როგორც გადაზღვევის ბროკერზე საზედამხედველო საქმიანობას ახორციელებს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით მოითხოვოს სადაზღვეო ბროკერის მხრიდან განმცხადებლის ან მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია თუნდაც პერსონალური მონაცემები და დაამუშაოს კანონით გათვალისწინებული წესით. მეორე მხრივ დაზღვევის ბროკერი ვალდებულია წარუდგინოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია შესაბამის საზედამხედველო სამსახურს.³⁴

3.4 ვალუტის გადამცვლელი პუნქტი

ვალუტის გადამცვლელი პუნქტები საქართველოს მასშტაბით საკმაოდ დიდი რაოდენობით მოქმედებს. პუნქტების საქმიანობა მოიცავს ნაღდი ფულის გაცვლას სხვა ვალუტაში. ისინი არ ახორციელებენ გადარიცხვებსა თუ სხვადასხვა ტიპის ტრანზაქციებს, რეზიდენტ ან არარეზიდენტ პირებზე, შესაბამისად აღნიშნულ სექტორში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის დონე შედარებით დაბალია.

თუმცა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ანგარიშებს თუ გადავხედავთ, არსებობს ზემოთხსენებულ პუნქტებთან დაკავშირებით ცუდი პრაქტიკაც, მაგალითად: წარსულში იყო შემთხვევები, როდესაც ადგილი ჰქონდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მხრიდან გარიგების რეალური მონაწილის დამალვას, პირი იყო მაღალი რისკის მქონე ქვეყნის რეზიდენტი და პუნქტი ცდილობდა მის შენიღბვას. ასევე წარსულში დაფიქსირდა ოპერაციის შეგნებული დანაწევრების ფაქტიც, რომლის მიზანიც იყო ანგარიშვალდებული პირის მხრიდან, ამ შემთხვევაში ვალუტის გადამცვლელი

³⁴ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“

პუნქტის მხრიდან, საიდენტიფიკაციო მონაცემების გადამოწმებისგან და დკუმენტების შენახვისგან თავის არიდება.³⁵

3.5 კომერციული ბანკი

კომერციული ბანკი ფინანსური ნაკადების მნიშვნელოვანი გამტარია, სწორედ ამიტომ კომერციულ ბანკებში განსაკუთრებით მკაცრად კონტროლდება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასება და ამავე რისკის პოლიტიკის მაღალ დონეზე განხორციელება. კომერციული ბანკების საქმიანობაში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასებისას ხელმძღვანელობენ როგორც სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი კანონმდებლობით ისე შიდა განაწესითაც. ყველა კომერციულ ბანკს აქვს რისკების მართვის შიდა პოლიტიკა, რომელსაც შესაბამისი ანგარიშვალდებული თანამშრომლები უნდა დაემორჩილონ. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ საკუთარ ორგანიზაციულ რისკებთან ერთად, რისკები ჯგუფის დონეზე და კლიენტის საქმიან ურთიერთობებთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკებიც, რათა მოხდეს აღნიშნული დანაშაულების პრევენცია საწყის ეტაპზე.

2014-2018 წლებში კომერციული ბანკების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, რაც შესაძლოა განპირობებულია მკაცრი კონტროლით. ასევე გამკაცრდა საბანკო საქმიანობისთვის ლიცენზირების პროცესიც. საქართველოს ეროვნულ ბანკს, რომელიც საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს გააჩნია ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის, ევროკავშირის დირექტივებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისი დისკრეციული უფლებამოსილებები. ლიცენზირების დროს საქართველოს ეროვნული ბანკი ამოწმებს დაინტერესებული იურიდიული პირის მიერ წარდგენილი

³⁵ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება .2019 წლის ანგარიში

დოკუმენტაციის შესაბამისობას კანონით დადგენილ მოთხოვნებთან.³⁶ რაც შეეხება კომერციული ბანკის მომსახურების არეალს იგი სხვა საფინანსო სექტორთან შედარებით ბევრად ფართოა, თუმცა როგორც სხვა საფინანსო სექტორისთვის კომერციული ბანკისთვისაც, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის თვალსაზრისით, მომატებული რისკის მატარებლად მიიჩნევა ძირითადად კლიენტები, რომლებიც არიან მაღალი რისკის მქონე ოფშორული ზონების რეზიდენტები, ან შესაბამის ქვეყნებში ეწევიან სხვადასხვა საქმიანობას. 2018 წლისთვის კომერციული ბანკების კლიენტების საერთო აქტივების ჯამურმა ოდენობამ 19.4 მილიარდი ლარი შეადგინა. აქედან ოფშორული ზონებიდან რეზიდენტი პირების აქტივები 3% შეადგენდა.³⁷

როდესაც რისკების მართვის პროცესი ეხება ფიზიკურ პირებს შედარებით მარტივია ბაზებში მათი გადამოწმება და რისკის დონის მინიჭება, თუმცა საქმე უფრო რთულდება მაშინ, როდესაც კლიენტი იურიდიული პირია. ამ დროს რთული დასადგენია მისი შემოსავლების წარმომავლობის და ბენეფიციარი მესაკუთრეების დადგენა.

როგორც წარსულის პრაქტიკამ აჩვენა ფულის გათეთრების დიდი რისკია მაშინაც, როდესაც ხდება ფიქტიური ხელშეკრულებების შედგენა საქონლის ყიდვის ან სესხის მიღებისა თუ სხვა სესხის გადაფარვის თაობაზე. ასეთ დროს განსაკუთრებით რთულდება რისკის შეფასება და მართვა.

ბოლო წლებში საქართველოს კომერციულ ბანკებში ოფშორული ზონებიდან ჩარიცხული თანხები აღემატება გადარიცხულ თანხებს. კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან ტრანზაქციის საეჭვობისას ინფორმაცია გაუგზავნონ ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. უკანასკნელ წლებში ეს პრაქტიკა შედარებით დაიხვეწა, შემუშავდა მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, დაიხვეწა უკვე არსებული კომერციული

³⁶ საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ

³⁷ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება. 2019 წლის ანგარიში

ბანკების შიდა რისკების მართვის პოლიტიკაც. კომერციული ბანკები მიმართავენ დიდ წილ რესურსებს შესაბამისობის კონტროლის სისტემის დახვეწისაკენ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რისკების გადამეტებულმა შეფასებამ შესაძლოა რესურსის არამიზნობრივი ხარჯვა გამოიწვიოს, ხოლო არასათანადო რესურსმა კი ხელი შეუწყოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საფრთხეს აღნიშნულ სექტორში. სწორედ ამიტომ აუცილებელია მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა ეფექტიანად გაანაწილოს რესურსი და ის მიდგომა, რომელიც კანონით სავალდებულოა, რათა მოხდეს დანაშაულის საწყის ეტაპზე გამოვლენა და რისკის დონის შემცირება.³⁸

კომერციული ბანკების საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის მიზანიცაა დაიცვას საფინანსო სექტორი კანონისთვის შეუსაბამო საქმიანობის მქონე პირებისაგან, რათა არ მოხდეს საფინანსო სექტორის არაკანონიერი მიზნებისთვის გამოყენება.³⁹

3.6 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი. იგი ახორციელებს საქართველოს კანონით „ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ განსაზღვრულ საქმიანობას. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არასაბანკო საფინანსო სექტორს მიეკუთვნება, მის ძირითად საქმიანობას დაკრედიტების ოპერაციები წარმოადგენს. 2017 წლის მონაცემებით საერთო საკრედიტო პორტფელმა 1.04 მილიარდი ლარი შეადგინა. ასევე 2017 წლის მონაცემებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კაპიტალის 31.1 % მოდის არარეზიდენტ ბენეფიციარ მესაკუთრეებზე. ⁴⁰ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ისევე, როგორც სხვა საფინანსო სექტორის წარმომადგენლები, ფულის

³⁸ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 7 მაისის ბრძანება N82/04

³⁹ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N297/04

⁴⁰ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება . ანგარიში 2019 გვ.72

გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებისთვის ერთ-ერთი მოწყვლადი სფეროა. შესაბამისად აუცილებელია მკაცრი კონტროლი როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე შიდა არსებული ინდივიდუალური პოლიტიკის გატარებით. ქვეყნის კანონმდებლობის დახვეწასთან ერთად აუცილებელი გახდა მიკროსაფინანსოებისთვის შეემუშავენათ რისკების მართვის შიდა კონტროლის მექანიზმი. ისევე როგორც სხვა ანგარიშვალდებული პირი მიკროსაფინანსო ორგანიზაციაც ვალდებულია ზედამხედველ ორგანოს დაუსაბუთოს, რომ კლიენტის მიმართ ყველა გატარებული პრევენციული ღონისძიება შესაბამისობაშია „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ კანონით განსაზღვრულ რისკების მართვასთან.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს ეროვნული ბანკი.

3.7 საბროკერო კომპანია

საბროკერო კომპანია არის ფინანსური ინსტიტუტი, რომლის საქმიანობაც მოიცავს სხვადასხვა საშუაშაველო საქმიანობას, მოგების მიღების მიზნით. მაგალითად ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი, რომლის საქმიანობაზეც ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი.⁴¹

საბროკერო კომპანიების აქტივების ჯამურმა ოდენობამ 2017 წლის მონაცემებით 124.6 მილიონი ლარი შეადგინა, ეს იყო აქტივების მნიშვნელოვანი ზრდა წინა წლებთან შედარებით.

საქართველოში მოქმედი 2 უმსხვილესი საბროკერო კომპანია კომერციული ბანკების შვილობილ კომპანიებს წარმოადგენს. 2018 წლის პირველ ნახევარში საბროკერო კომპანიების საქმიანობა წინა წლებთან შედარებით გაიზარდა, შესაბამისად იმატა

⁴¹საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ

კლიენტთა რიცხვმაც, ხოლო ტრანზაქციების ჯამური ოდენობის 26% არარეზიდენტი კლიენტების მხრიდან ხორციელდებოდა.

აღნიშნული სექტორი ყოველწლიურად იზრდება, შესაბამისად მისი პრაქტიკული საქმიანობა საჭიროებს მეტ ყურადღებას, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისთვის შესაბამისი პოლიტიკის გატარების საკითხში, რადგან რაც უფრო იზრდება ეს სექტორი უფრო მოწყვლადი ხდება შესაბამისი დანაშაულებისთვის. განსაკუთრებით ყურადსარებაა მომატებული რისკის მატარებელი ტრანზაქციები, ასეთად მიიჩნევა ისეთი ტიპის ტრანზაქციები, რომლებშიც რამდენიმე შუამავალი ერთდროულად მონაწილეობს და ტრანზაქციის მოკვლევაც რთული ხდება.

საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებით, ბაზარზე ინვესტირების დაცვის მიზნით განხორციელდა რიგი ცვლილებები კანონმდებლობაში, კერძოდ უცხოური ვალუტის ვაჭრობის პლატფორმის უკეთ ორგანიზებასთან დაკავშირებით.

2019 წელს 2 საბროკერო კომპანია ახორციელებდა ფორექს საქმიანობას. საქმიანობის განსახორციელებლად სავალდებულო გახდა საბროკერო კომპანიის კანონით დადგენილი რეგისტრაცია.⁴²

საბროკერო კომპანია ანგარიშის გახსნისას ხელმძღვანელობს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტით“(FATCA) .

საბროკერო კომპანიების საქმიანობის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს ეროვნული ბანკი.⁴³

⁴² საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება 2019 წლის ანგარიში გვ.73-74

3.8 საგადახდო მომსახურების პროვაიდერი

საქართველოს კანონის „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ მიხედვით საგადახდო მომსახურების პროვაიდერი არის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს კანონით განსაზღვრულ საგადახდო მომსახურებას.

საგადახდო მომსახურების პროვაიდერს უფლება აქვს განახორციელოს: ვალუტის გადაცვლის ოპერაცია, გადახდა, მონაცემების დამუშავება, განახორციელოს საგადახდო სისტემის მართვა კანონის შესაბამისად, სესხის გაცემა სხვადასხვა პირობის დაცვის შემთხვევაში, მაგალითად: თუ აღნიშნული არ წარმოადგენს მის ძირითად საქმიანობას და სესხს მხოლოდ გადახდის ოპერაციის განხორციელებისთვის გასცემს. კანონი ავალდებულებს პროვაიდერს, რომ მის მიერ გადახდის ოპერაციისთვის გაცემული სესხი უნდა დაიფაროს არაუგვიანმეს 12 თვისა, სესხი არ გადის მომხმარებლის სახსრებით, ასევე კანონითაა შეზღუდული სესხის ოდენობაც, და არ უნდა აჭარბებდეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ოდენობას.⁴⁴

პროვაიდერების მომსახურება, როგორც წესი ხორციელდება სწრაფი გადახდის აპარატებით ან ინტერნეტის საშუალებით, რაც რა თქმა უნდა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობის რისკის მატარებელია. სწრაფი გადახდის აპარატებით ხდება, როგორც ელექტრონული საფულის შევსება ისე ონლაინ სამორინეს ანგარიშის შევსებაც, ასევე შეიძლება განხორციელდეს საერთაშორისო ტრანზაქციებიც, რაც ბუნებრივია სექტორის რისკის დონეს გარკვეულწილად ზრდის.

საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, სწორედ სებ-ის მხრიდან ადგილზე შემოწმების შედეგად რამდენიმე წლის წინ გამოირკვა 2 საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ წარდგენილ დოკუმენტებში მითითებული საქმიანობის შეუსაბამობა რეალურ საქმიანობასთან. საგადახდო მომსახურების პროვაიდერები

⁴³ საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ.

⁴⁴ საქართველოს კანონი საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ

მომსახურებას არა ქვეყნის შიგნით არამედ ქვეყნის გარეთ ახორციელებდნენ, მათი საბანკო ანგარიშების გამოყენება კი ხდებოდა ურთიერთკავშირში მყოფი არარეზიდენტი კომპანიების მიერ, ხდებოდა ტრანზაქციების დაყოფა და ფულადი სახსრების წარმომავლობის შენიღბვა პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით. ინსპექტირების შედეგად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა აღნიშნულ ორ საგადახდო მომსახურების პროვაიდერს გაუუქმა რეგისტრაცია და ეცნობა შესაბამის ორგანოებს გამომძიებისათვის. 2017 წლიდან ეროვნულმა ბანკმა გაამკაცრა მიდგომები საგადახდო მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, შემუშავებულ იქნა შესაბამისი ჯარიმის სახეები და პრევენციის მიზნით გამკაცრდა და გაფართოვდა საგადახდო მომსახურების პროვაიდერებზე დისტანციური საზედამხედველო ღონისძიებებიც⁴⁵

3.9 სადაზღვევო ორგანიზაცია

საქართველოს სადაზღვევო სექტორში 2019 წლის მონაცემებით 17 სადაზღვევო კომპანია საქმიანობს. 2018 წელს მათი აქტივების ჯამურმა ოდენობამ 743 მილიონი ლარი შეადგინა და ასევე ამავე წელს 542 მილიონი ლარი იქნა მოზიდული პრემიის სახით რაც წინა წლებს თუ შევადარებთ 23%-იანი ზრდის მაჩვენებელია.⁴⁶ სადაზღვევო კომპანიის კლიენტები ძირითადად რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები არიან. შეიძლება ითქვას, რომ კლიენტების ძალიან მცირე ოდენობას წარმოადგენს მაღალი რისკის მქონე იურისდიქციაში შემავალი პირები. სადაზღვევო კომპანიები ფინანსური მონიტორინგის სამსახურს უგზავნიან შეტყობინებებს იმ შემთხვევაში თუ ხდება ნაღდი ფულით ტრანზაქცია ან თუ ივარაუდება, რომ გარიგება სარისკოა. სადაზღვევო კომპანიების შემოწმების დროსაც ძირითადი დარღვევები სწორედ ამ სფეროში იქნა გამოვლენილი.

⁴⁵ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება 2019 წლის ანგარიში გვ.70

⁴⁶ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემები

კლიენტების არასათანადო ვერიფიკაციის პროცესი, ფმს-ისთვის საჭირო დოკუმენტების დაგვიანებით ან არასრულად გადაგზავნის ფაქტები, ეს ის შემთხვევებია, რომლებიც ძირითადად მონიტორინგისას გამოვლინდა, სხვადასხვა სადაზღვეო კომპანიაში. მათ საფუძველზე გამოძიება არასდროს დაწყებულა ხოლო განმეორებითი დარღვევისას ხდება ფულადი ჯარიმების გამოყენებაც.

სადაზღვეო ორგანიზაციებზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. ეს უკანასკნელი გასცემს რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს სადაზღვეო სექტორში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის გატარებას. თითოეულ მის დაქვემდებარებულ ორგანოში, ხელს უწყობს მონიტორინგს იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად სწორად ხდება ანგარიშვალდებული პირების მხრიდან კანონით დადგენილი პოლიტიკის განხორციელება, რათა მოხდეს დანაშაულის საწყის ეტაპზე გამოვლენა და პრევენცია.

3.10 სალიზინგო კომპანია

საქართველოში ლიზინგი ნაკლებად განვითარებულია, თუმცა წლების განმავლობაში შეიძლება ითქვას, რომ ლიზინგის ბაზარი სტაბილურად იზრდება, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს კანონმდებლობაში შესული ცვლილებებითაც, კერძოდ კი ლიზინგის გამიჯვნით ქირავნობის ხელშეკრულებისგან. ლიზინგმა შეიძინა სამმხრივი ურთიერთობისთვის აუცილებელი ელემენტები. სალიზინგო ბაზრის თითქმის ნახევარმა მომსახურების, მშენებლობის და მედიცინის სექტორი მოიცვა. საქართველოში 2019 წლის მონაცემებით რეგისტრირებულია ასზე მეტი სალიზინგო კომპანია⁴⁷

⁴⁷ საქართველოს სალიზინგო კომპანიის 2019 წლის ინდუსტრიის მიმოხილვა

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში საკმაოდ ბევრი სალიზინგო კომპანიაა რეგისტრირებული ბაზრის უმსხვილესი ნაწილი რამდენიმე სალიზინგო კომპანიაზე მოდის, რომლებიც ძირითადად კომერციული ბანკების შვილობილი საწარმოებია. სალიზინგო კომპანიების კლიენტთა ძირითადი რაოდენობა რეზიდენტი იურიდიული პირები არიან.

სალიზინგო კომპანიები ანგარიშვალდებული პირები არიან „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ „ კანონის მიზნებიდან გამომდინარე. მიუხედავად ლიზინგის საგნიდან და სალიზინგო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სალიზინგო საქმიანობა მიაჩნდება დაბალი რისკის მქონე საქმიანობადაა მიჩნეული. საექვო გარიგებების შესახებ სალიზინგო კომპანიები ატყობინებენ ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და კლიენტებთან დაკავშირებით აგროვებენ კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.⁴⁸

სალიზინგო კომპანიებზე საზედამხედველო საქმიანობის განუხორციელებლობის მიუხედავად , კანონით საზედამხედველო ორგანოდ დასახელებულია ფინანსთა სამინისტრო⁴⁹

3.11 სესხის გამცემი სუბიექტი

სესხის გამცემი სუბიექტი საფინანსო სექტორის ერთ-ერთი წარმომადგენელია. სესხის გამცემი სუბიექტი შესაძლოა იყოს პირი ან პირთა ჯგუფი, რომელთა მიმართაც ერთდროულად 20 ზე მეტ პირს აქვს სასესხო დავალიანება.

2018 წელს საფინანსო სექტორში ცვლილებები შევიდა სესხის გამცემ სუბიექტებთან დაკავშირებულ რეგულაციებში. ცვლილებები უკავშირდებოდა სგს-ს ეროვნულ ბანკში

⁴⁸ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება 2019 წლის ანგარიში გვ.78

⁴⁹ საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ.

რეგისტრაციის საკითხს. კერძოდ, ცვლილებები განხორციელდა სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესსა და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის წესებში.

ცვლილებებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სესხის გამცემ სუბიექტს თუ ის დარეგისტრირდება ეროვნულ ბანკში ვალუტის გადამცვლელ პუნქტად შესაძლებლობა ექნება, ნაღდი ვალუტის გაცვლის ოპერაციების განხორციელების.

ამავე წელს ცვლილება შევიდა საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის წესშიც, ამ ცვლილების მიხედვით სესხის გამცემი სუბიექტი უფლებამოსილი ხდება არ მიაწოდოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია ბიუროს იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელ ფიზიკურ პირზე გაიცემა 3 000 (სამი ათასი) ლარამდე მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი.

სესხის გამცემი სუბიექტებიც ისევე როგორც სხვა ანგარიშვალდებული პირები, ვალდებულნი არიან საექვო გარიგებისას ინფორმაცია მიაწოდონ შესაბამის ორგანოს, აწარმოონ „ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რისკების მართვის შესაბამისი ღონისძიებები.

დღესდღეობით ეროვნულ ბანკში 377 სესხის გამცემი სუბიექტის ფილიალია რეგისტრირებული, რომელთა ზედამხედველობასაც ეროვნული ბანკი ახორციელებს.⁵⁰

3.12 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების რეესტრს. იგი საფინანსო სექტორის წარმომადგენელია. 2018 წლის მონაცემებით ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების მხრიდან ჯამურად 312 კომპანიის ფასიანი ქაღალდების რეესტრი

⁵⁰ <https://www.nbg.gov.ge/uploads/finstability/nonbanks/2020/sgs/sgs.xlsx>

იწარმოებოდა. ემიტენტებს ძირითად ნაწილს რეზიდენტი იურიდიული პირები წარმოადგენენ, ხოლო 2019 წლის მონაცემებით, რეგისტრირებული პირების მხოლოდ 0.16 % იყო არარეზიდენტი, მათ შორის დომინირებდნენ ფიზიკური პირები . ასევე 2019 წლის მონაცემებით მხოლოდ 45 კომპანიაა ისეთი , რომლებიც რეგისტრირებულნი არიან კანონით დადგენილი წესით მაგრამ შედარებით რთული კონტროლის სტრუქტურის მქონენი არიან. ასეთი კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების ვერიფიკაციის პროცესი გარკვეულ სირთულეს უკავშირდება, შესაბამისად ისინი მაღალი რისკის მატარებელი კომპანიებია და მათ საქმიანობაზე კონტროლიც შესაბამისად მიმდინარეობს. მათი საქმიანობის მიმართ ხორციელდება გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების საქმიანობასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთ ხსენებულ კომპანიებთან მიმართებაში მათ უნდა ქონდეთ შესაბამისი ცოდნა , რათა ივარაუდონ, რომ შეიძლება არსებობდეს აქციებთან დაკავშირებით ფიქტიური გარიგების რისკი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქართველოში უმსხვილესი კომპანია , რომელიც აწარმოებს ფასიანი ქაღალდების რეგისტრ კომერციული ბანკის შვილობილი საწარმოა და ახორციელებს არსებული ჯგუფის დონეზე შესაბამისობის კონტროლს. თავად ეს სექტორი საქართველოში მცირეა, ხოლო რეგისტრატორები არ ახორციელებენ ტრანზაქციებს, არარეზიდენტი რეგისტრირებული პირების ოდენობაც შედარებით უმნიშვნელოა.

ამ სექტორში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკი მაღალი არ არის, რაც საზედამხედველო ორგანოს საქმიანობიდანც გამომდინარეობს, რომელიც მკაცრ კონტროლს უწევს რეგისტრატორების საქმიანობას და მათზე ხორციელდება კანონით დადგენილი ზედამხედველობა. რეგისტრატორი ისევე როგორც სხვა ანგარიშვალდებული პირები ვალდებულნი არიან განახორციელონ რისკის კანონით დადგენილი კონტროლი და მოკლე დროში შეაფასონ ის, ხოლო საეჭვოობისას აცნობონ შესაბამის ორგანოს.

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს, საქართველოს ეროვნული ბანკი.⁵¹

3.13 ადვოკატი, საადვოკატო ბიურო

საქართველოში დღესდღეობით 4715 მოქმედი ადვოკატი და 339 საადვოკატო ბიუროა რეგისტრირებული.⁵² საადვოკატო საქმიანობის მსურველები უნდა გაწევრიანდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. საადვოკატო საქმიანობის დაწყებისთვის და ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისთვის გარკვეული წინაპირობები არსებობს, რომელთა დაცვაც კანონითაა გათვალისწინებული.

საადვოკატო საქმიანობა თავის თავში მოიცავს: კლიენტის წარმომადგენლობას, იურიდიული კონსულტაციის გაწევას, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას და სხვა სახის იურიდიულ მომსახურებას. საადვოკატო საქმიანობისთვის ადვოკატი არ არის შეზღუდული ჰონორარის ოდენობის განსაზღვრაში. „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ კანონის მიზნებისათვის ანგარიშვალდებულ პირებად ადვოკატები ჯერ კიდევ 2015 წლიდან, ხოლო საადვოკატო ბიუროები 2019 წლიდან ითვლებიან.

ადვოკატის ან საადვოკატო ბიუროს მხრიდან უნდა გატარდეს პრევენციული ღონისძიებები, თუ ისინი კლიენტს უწევენ მომსახურებას და ახორციელებენ შემდეგ საქმიანობებს: უძრავი ქონების ან სამეწარმეო იურიდიული პირის(წილის) ყიდვა-გაყიდვას, ფულადი სახსრების ან საბანკო ანგარიშის მართვას, იურიდიული პირის შექმნის, საქმიანობის ან მართვისთვის შენატანების ორგანიზებას, იურიდიული პირის ან ტრასტის შექმნასა და საქმიანობის მართვას.

⁵¹ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება 2019 წლის ანგარიში გვ.74

⁵² საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოანგეშები. ადვოკატთა და საადვოკატო ბიუროების რაოდენობა მუდმივად ცვალებადია.

ადვოკატის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კერძოდ ფინანსურ ინსტრუმენტებზე ხელმისაწვდომობისა და პროფესიული საიდუმლოების პრინციპის გამო, საერთაშორისო პრაქტიკაში, კრიმინალები ცდილობენ ადვოკატების მომსახურება ბოროტად გამოიყენონ. მაგალითად ადვოკატს შეიძლება მიმართონ სხვადასხვა სტრუქტურის შესაქმნელად რაც რეალურად სამომავლოდ გამოყენებული იყოს არაკანონიერი ფულის შესანიღბად. ამას ფორმალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის მეთოდადაც მოიხსენიებენ.

2019 წლიდან ადვოკატებს და საადვოკატო ბიუროებს უფლება მიეცათ გახსნან კლიენტებისთვის საერთო საბანკო ანგარიშები, რომლებზეც ერთობლივად აღირიცხება კლიენტების მიერ ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფულადი სახსრები.⁵³

2015 წლიდან 2019 წლის ჩათვლით, ფინანსური მონიტორინგის სამსახურში ადვოკატების მხრიდან გაგზავნილი საექვო ტრანზაქციების თაობაზე მხოლოდ 2 შეტყობინებაა შესული. აღნიშნული შესაძლოა გამომდინარეობდეს იქიდან , რომ ადვოკატებს პროფესიული ეთიკის კოდექსი უფლებას არ აძლევთ გათქვან პროფესიული საიდუმლოება. ადვოკატებს არც „ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ კანონი” ავალდებულებს ეთიკის კოდექსის დარღვევას, შესაბამისად მათი საქმიანობის სფერო შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც გარკვეული რისკის მატარებელი საქმიანობა.

ადვოკატებსა და საადვოკატო ბიუროებზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

3.14 ლატარიის ორგანიზატორი, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი.

⁵³ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება 2019 წლის ანგარიში გვ.85-86

ლატარიის ორგანიზატორი, დასახელებულია როგორც ანგარიშვალდებული პირი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მიზნებისთვის და აირჩევა ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტენდერში. რის შემდეგაც მას ეძლევა ექსკლუზიური უფლება ჩაატაროს ლატარია კანონის შესაბამისად. მისი საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონით „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“. ლატარიის ორგანიზატორი, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი ვალდებულია დაიცვას „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებები პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. მაგალითად: ფულადი სახსრების მიღების, მოგების ან ფულადი სახსრების გაცემისას თუ გარიგების თანხა /ღირებულება 5000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 5000 ლარის ეკვივალენტს აღემატება, სისტემური- ელექტრონული ფორმით ლატარიების , აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობისას , როდესაც ხდება კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება და კლიენტის (როგორც მოთამაშედ) რეგისტრაცია.⁵⁴

სათამაშო ბიზნესის ოპერატორებისგან განსხვავებით კანონით მკაცრად კონტროლდება ლატარიის ორგანიზატორის აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორის საქმიანობა, რომელთა კონტროლსა და ზედამხედველობასაც ასევე შემოსავლების სამსახური ახორციელებს. სწორედ მისი საქმიანობის რისკიდან გამომდინარეა ორგანიზატორი ვალდებული გათამაშების მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე ინფორმაცია 5 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს შემოსავლების სამსახურს. ეს უკანასკნელი კი ვალდებულია უზრუნველყოს კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება შემოსავლების სამსახურისათვის.⁵⁵

3.15 ნოტარიუსი

⁵⁴ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონი.

⁵⁵ საქართველოს კანონი „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“

ნოტარიუსი საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს. იგი პასუხს აგებს თავისი საქმიანობით მიყენებული ზიანისთვის. სანოტარო დოკუმენტების მიმართ არსებობს კანონიერებისა და ნამდვილობის პრეზუმცია. 2018 წლის მონაცემებით საქართველოში 269 ნოტარიუსი საქმიანობდა.⁵⁶

2010 წლიდან საქართველოში დაინერგა ონლაინ სანოტარო მომსახურება. ინტერნეტის საშუალებით შეიძლება, როგორც პირზე სხვადასხვა სახის მინდობილობის გაკეთება ისე, იურიდიული პირების დამფუძნებლების ან მმართველი ორგანოების კრების ოქმის დამოწმებაც. ონლაინ სანოტარო მომსახურებით თითქმის ყველა სახის სანოტარო მოქმედების შესრულება გახდა შესაძლებელი. ასეთ დროს ნოტარიუსი პირის იდენტიფიცირებისა და ვერიფიცირების შემდეგ ასრულებს სანოტარო მოქმედებას, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კანონს. ნოტარიუსს მის ანგარიშზე შესანახად შესაძლოა გადაეცეს ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები ან სხვა სახის აქტივი, რომლის დეპონირებაც შესაძლებელია. დეპონირების დროს დგება ოქმი, რომელშიც ფიქსირდება დეპონირების მიზეზი.

ნოტარიუსი ისე, როგორც სხვა ანგარიშვალდებული პირები, ვალდებული არიან გარიგების საექვივობიას მიმართონ შესაბამის ორგანოს.

ნოტარიუსებზე ზედამხედველობას ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო, რომელიც 3 წელიწადში ერთხელ მაინც ამოწმებს თითოეულ ნოტარიუსის საქმიანობას, თუმცა ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიმართვა ერთ - ერთი წინაპირობა შეიძლება გახდეს იუსტიციის სამინისტროსთვის და კონკრეტული ნოტარიუსი რიგგარეშედ შემოწმდეს. ადვოკატებისაგან განსხვავებით ნოტარიუსთან მიმართებაში კანონი უფრო მკაცრია. არსებობს იუსტიციის მინისტრის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია, რომელიც სხვა საკითხების გარდა ამოწმებს ნოტარიუსის საქმიანობის შესაბამისობას „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის

⁵⁶ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მონაცემები.

შესახებ” კანონთანაც. ამ კანონის დარღვევა არის საშუალო დისციპლინარული დარღვევა, რომლის შემდეგაც ნოტარიუსს გამოუცხადდება საყვედური, ხოლო აღნიშნულის განმეორება და ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის ინფორმაციის არაერთგზის შუტყობინებლობა მძიმე დისციპლინური გადაცდომის სახეს მიიღებს და ეს გამოიწვევს ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლებას. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნოტარიუსის საქმიანობა დოკუმენტების დამოწმებამდე ან ნებისმიერი სანოტარო მოქმედების განხორციელებამდე თავადაც გულისხმობს პირის იდენტიფიკაცია ვერიფიკაციის პროცესს, ასევე ნოტარიუსთა ელექტრონულ სანოტარო რეესტრში ინტეგრირებულია გაეროს საერთაშორისო ტერორიზმთან ასოცირებულ პირთა სია.

მეორეს მხრივ ნოტარიუსებს არ აქვთ წვდომა სხვა ქვეყნის პოლიტიკურად აქტიურ პირთა სიები გადაამოწმონ. ნოტარიუსებისთვის ასევე სირთულეს წარმოადგენს გადაამოწმონ ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული იურიდიული პირის ბენეფიციარი მესაკუთრე. ამის მიუხედავად, ნოტარიუსი თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე უკვე ხსენებული დანაშაულებისთვის მოწყვლად ჯგუფს არ გამწეკუტნება და მისი საქმიანობის რისკიც დაბალია.⁵⁷

3.16 ბუღალტერი

საქართველოს კანონმდებლობით ბუღალტრული აღრიცხვა თვითრეგულირებად პროფესიას წარმოადგენდა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ არ ხდებოდა ბუღალტრების რეესტრის წარმოება, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სერთიფიცირებულ ბუღალტრების რეესტრს აწარმოებს შესაბამისი პროფესიული ორგანიზაცია. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური კი ადგენს ბუღალტრების სერტიფიცირების სტანდარტს.

⁵⁷ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება 2019 წლის ანგარიში გვ.87-89

2019 წლის მარტის მდგომარეობით შემოსავლების სამსახურში გადასახადის გადამხდელად ასახულ პირთაგან 1100 პირს საქმიანობის ერთ-ერთ სფეროდ მითითებული ჰქონდა ბუღალტრული საქმიანობა.⁵⁸

სერტიფიცირებული ბუღალტერი ერთ-ერთი ანგარიშვალდებული პირია „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მიზნებისთვის და ვალდებულნი არიან განახორციელონ ამავე კანონში მითითებული პრევენციული ღონისძიებების დაცვა.

საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. 2020 წლის 11 მარტს საქართველოს პარლამენტში ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით შევიდა კანონპროექტი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, აღნიშნული მიზნად ისახავს საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის გაზრდას. კერძოდ, ეროვნულ ბანკს ენიჭება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს ზედამხედველობის ფუნქცია. „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მიზნებიდან გამომდინარე 2021 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს.⁵⁹

3.17 აუდიტორი, აუდიტორული (აუდიტური) ფირმა

აუდიტორი შეიძლება გახდეს სერტიფიცირებული ბუღალტერი და მოქმედი აუდიტორის მეთვალყურეობის ქვეშ აუდიტის ჩატარების 3 წლიანი გამოცდილების მქონე პირი,

⁵⁸ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება 2019 წლის ანგარიში გვ.89

⁵⁹ <https://info.parliament.ge/#law-drafting/20164>

რომელიც ასევე იქნება პროფესიული ორგანიზაციის წევრი. საქართველოში 2018 წლის მონაცემებით რეესტრში რეგისტრირებული იყო 246 აუდიტორული ფირმა და 440 აუდიტორი. 2018 წელს აუდიტორული მომსახურების სფეროში საერთო ბრუნვა 116 მილიონ ლარს შეადგენდა. იმავე წელს მხოლოდ 2 აუდიტორულ ფირმას აქვს მიღებული შემოსავალი FATF-ის სტანდარტებით გათვალისწინებულ ქონებრივ ან ფინანსურ ტრანზაქციებში მონაწილეობისთვის.⁶⁰ მიუხედავად იმისა, რომ აუდიტორები და აუდიტორული ფირმების საქმიანობის მოწყვლადობა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ნაწილში საკმაოდ დაბალია, ისინი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მიზნებისთვის მაინც ანგარიშვალდებულ პირებად არიან მიჩნეულნი. ნაკლებად იღებენ მონაწილეობას ფინანსურ ტრანზაქციებში და მათ საქმიანობაზე ბუღალტრებისგან განსხვავებით ხორციელდებოდა სათანადო ზედამხედველობაც.

აუდიტორისა და აუდიტორული ფირმების საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, ხოლო 2020 წლის 11 მარტის კანონპროექტი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ითვალისწინებს, რომ 2021 წლის 1 იანვრიდან მათ საზედამხედველო ორგანოდ ისვე როგორც სერტიფიცირებულ ბუღალტრებისთვის განისაზღვრება ეროვნული ბანკი და სწორედ ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს მათ საქმიანობაში რისკების პოლიტიკის განხორციელების კანონთან შესაბამისობის კონტროლს.⁶¹

⁶⁰ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება 2019 წლის ანგარიში გვ.89

⁶¹ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/245929>

3.18 ძვირფასი ქვებით ან ლითონებით ვაჭრობის განმახორციელებელი პირი

საქართველოში ძვირფასი ქვებითა და ლითონებით ვაჭრობის საკმაოდ სტაბილური ბაზარია. ქვეყანაში არსებობს სავაჭრო სახლები, საიუველირო და ანტიკვარიატის მაღაზიებიც. იმპორტის სახით კი ქვეყანაში სწორედ ამიტომ ძვირფასი ლითონებით დამზადებული ნაკეთობები შემოდის. 2016 წლის მონაცემებით საქართველოში 60 ათასი კილო ოქროს მარაგი არსებობდა.⁶² გამომდინარე იქიდან , რომ ძვირფასეულობა შესანიშნავი საშუალებაა არაკანონიერი გზით მიღებული ფულის კანონიერი სახის მიცემისთვის ანუ ერთგვარი კონვერტირებისთვის, ძვირფასი ქვებით ან ლითონებით ვაჭრობის განმახორციელებელ პირებს ევალებათ გაატარონ კანონით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებები. მაგალითად: ასეთი საქმიანობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია კანონით განსაზღვრული პრევენციული ღონისძიებები გაატაროს თუ ნაღდი ფულით შესრულებული გარიგების თანხა ან დაკავშირებული გარიგების მთლიანი თანხა 30 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 30000 ლარის ეკვივალენტს შეადგენს ან აღემატება მას.⁶³

ძვირფასი ქვებით და ლითონებით ვაჭრობის განმახორციელებელ პირებზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.თუმცა ძვირფასი ლითონებისა და ქვების შექმნა ძირითადად ანონიმურად და ნაღდი ფულით ხორციელდება, ხოლო ბიზნესის კონკრეტულ სუბიექტებზე ზედამხედველობა საერთოდ არ ხორციელდება შესაბამისად მათი საქმიანობა გარკვეული რისკის მატარებელია ⁶⁴ და ზედამხედველობას საჭიროებს.

⁶² საქსტატის მონაცემები

⁶³ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

⁶⁴ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება 2019 წლის ანგარიში გვ.85

3.19 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საჯარო დაწესებულებებიდან თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მიზნებისთვის ანგარიშვალდებულ პირეთა წრეს მიეკუთვნება, იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებულია დაიცვას „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებები კერძოდ კი განახორციელოს კლიენტის იდენტიფიკაცია - ვერიფიკაციის პროცედურები. აღნიშნული პოლიტიკის გატარება საჯარო რეესტრს ევალება იმ შემთხვევაში თუ იგი ყიდვა-გაყიდვის ან ჩუქების გარიგების საფუძველზე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას ახორციელებს, რაც გამომდინარეობს იქიდან , რომ უძრავ ქონებაში ფულის დაბანდება კარგად ნაცადი მეთოდია ფულის გათეთრებისთვის. უძრავი ქონების მაღალი ფასიც იმის საშუალებას იძლევა, რომ მხოლოდ ერთი ტრანზაქციით მოხდეს დიდი ოდენობით ფულის გათეთრება. საჯარო რეესტრის საქმიანობასა და შესაბამისობის პოლიტიკის გატარებას ზედამხედველობას უწევს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. თავის მხრივ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებულია შესაბამის სამსახურის უფროსის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრულ შემთხვევებში სამსახურს წარუდგინოს უძრავ ქონებაზე ანგარიშგება საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, აღნიშნული ანგარიშგება უნდა იქნას წარდგენილი აქტით განსაზღვრულ ვადებში. საჯარო რეესტრი ფინანსური მონიტორინგის სამსახურს უზავნის ყველა საექვო ტრანზაქციაზე შეტყობინებას.⁶⁵

⁶⁵ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება 2019 წლის ანგარიში გვ.85

3.20 შემოსავლების სამსახური

შემოსავლების სამსახური არის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. იგი სჯარო დაწესებულებაა, რომელიც „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მიზნებიდან გამომდინარე მიჩნეულია ანგარიშვალდებულ პირად. შემოსავლების სამსახური ვალდებულია განახორციელოს პირის მიმართ პრევენციულ ღონისძიებები იმ შემთხვევაში თუ პირი არის ნაღდი ფულის ან ფასიანი ქაღალდების გადამადგილებელი ან გამგზავნ/მიმღები პირი, ნაღდი ფულის ან ფასიანი ქაღალდების საქართველოდან გატანა/შემოტანის დროს თუ გადასატანი თნხა ან ფასიანი ქაღალდების ღირებულება აღემატება 30 000 ლარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად შემოსავლების სამსახური ვალდებულია წარუდგინოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ანგარიშგება, როდესაც 30 000 ლარის ან 30 000 ლარზე მეტი ეკვივალენტის უცხოურ ვალუტაში, ნაღდი ფულის გადატანა ხდება საქართველოს საბაჟო საზღვარზე. შემოსავლების სამსახურის საქმიანობას და შესაბამისობის პოლიტიკის განხორციელებას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.⁶⁶

თავი IV

საზედამხედველო ორგანოები

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მიზნებიდან გამომდინარე ანგარიშვალდებულ პირებს ზედამხედველობას უწევენ შემდეგი ორგანოები:

⁶⁶ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია- ზედამხედველობას უწევს ადვოკატის ან საადვოკატო ბიუროს მიერ შესაბამისობის პოლიტიკის განხორციელებას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო- ზედამხედველობას ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ნოტარიუსების მხრიდან კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური- საზედამხედველო უფლებამოსილებას ახორციელებს: არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლებზე, სადაზღვევო/გადაზრვევის ბროკერებსა და სადაზღვეო ორგანიზაციებთან მიმართებაში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- საზედამხედველო საქმიანობას ახორციელებს სალიზინგო კომპანიებზე, ლატარიისა და აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორის საქმიანობაზე. მისი საზედამხედველო უფლებამოსილების ფარგლები ვრცელდება ასევე შემოსავლების სამსახურსა და ძვირფასი ქვებით/ლითონებით ვაჭრობის განმახორციელებელ პირთა საქმიანობაზე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური- ზედამხედველობას ახორციელებდა სერტიფიცირებული ბუღალტერის, იურიდიული პირის, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურებას ახორციელებს მათ საქმიანობაზე და ასევე აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის საქმიანობაზეც. თუმცა 2020 წლის 11 მარტის კანონპროექტის საფუძველზე ხსენებული ანგარიშვალდებული პირების საზედამხედველო ორგანოდ 2021 წლის 1 იანვრიდან ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ნაცვლად განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკი.

საქართველოს ეროვნული ბანკი- საზედამხედველო საქმიანობას ახორციელებს: არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირის, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის, კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საბროკერო

კომპანიის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერის, სესხის გამცემი სუბიექტისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობებზე.⁶⁷ 2020 წლის 11 მარტის კანონპროექტის საფუძველზე სებ-ის საზედამხედველო არეალში მოექცევა სერტიფიცირებული ბუღალტერის, იურიდიული პირის, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურებას ახორციელებს და ასევე აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის საქმიანობებიც.⁶⁸

საზედამხედველო ორგანოს თავის მხრივ აქვს კანონით დაკისრებული ვალდებულებები. საზედამხედველო ორგანოთა ფუნქციებს განეკუთვნება: ანგარიშვალდებული პირის შემოწმება (როგორც დისტანციური ისე ადგილზე შემოწმება), აღნიშნული მონიტორინგი ბუნებრივია ხორციელდება ანგარიშვალდებული პირის საქმიანობის რისკის დონიდან გამომდინარე, თუ რამდენადაა მისი საქმიანობა დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკებთან. საზედამხედველო ორგანო, როგორც წესი ანგარიშვალდებული პირისგან გამოითხოვს საჭირო ინფორმაციას და აფასებს კონკრეტული სექტორის რისკის დონეს.

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონისა და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების განხორციელებისათვის, საზედამხედველო ორგანოები გამოსცემენ მეთოდურ რეკომენდაციებს და აძლევენ მითითებებს ანგარიშვალდებულ პირებს. ზედამხედველი ორგანო თავადაა ვალდებული განსაზღვროს ანგარიშვალდებული პირის მიმართ გასატარებელი სხვადასხვა ღონისძიებები. საზედამხედველო ორგანომ, არა მხოლოდ თავად უნდა განახორციელოს ზედამხედველობა არამედ აუცილებელია ითანამშრომლოს სხვადასხვა კომპეტენტურ ორგანოსთან, რათა ჯგუფზე განხორციელდეს ეფექტიანი ზედამხედველობა. ხოლო ფინანსური მონიტორინგის სამსახური ვალდებულია

⁶⁷ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონი. მუხლი 4.

⁶⁸ <https://info.parliament.ge/#law-drafting/20164>

დროულად აცნობოს საზედამხედველო ორგანოს ანგარიშვალდებული პირის მხრიდან კანონის ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დარღვევის საკითხი.⁶⁹

თავი V

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის განხორციელების პრობლემები საქართველოში

საქართველომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით რიგი ვალდებულებები აიღო, როგორც სხვა ისე ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების გამოვლენისა და აღკვეთის სფეროში. სწორედ ამიტომ აუცილებელი გახდა საქართველოს ნორმატიული ბაზის დახვეწა და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

2019 წელს საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონი „ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, ამ კანონის მიღებასთან ერთად აუცილებელი გახდა ანგარიშვალდებულ პირებში ცოდნის ამალღებაც რისკის დონის შეფასების ასპექტში.

ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის განხორციელებისას უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს საჯარო და კერძო ინტერესთა ბალანსი. ერთი მხრივ არსებობენ ანგარიშვალდებული პირები , რომლებსაც პროფესიული ეთიკის კოდექსი და პროფესიული პასუხისმგებლობა უკრძალავს ინფორმაციის მიწოდებას, მეორე მხრივ არსებობს საფრთხე აღნიშნული პროფესიების მხრიდან „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნების უგულებელყოფის.

⁶⁹ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონი. მუხლი 38-39.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ კანონი რიგ პროფესიებს ავალდებულებს პროფესიული საიდუმლოების დაცვას, მაგალითად: „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-7 მუხლში განხილულია თუ რა ვალდებულება აკისრია ადვოკატებს პროფესიული საიდუმლოების ასპექტში და რა შემთხვევებში შეუძლია ადვოკატს გასცეს პროფესიული საიდუმლოება. ამავე მუხლში საუბარია იმაზე, რომ აღნიშნულის დარღვევისას ადვოკატს დაეკისრება როგორც კანონით ისე ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.⁷⁰

ზემოთხსენებული ნორმის პარალელურად აუცილებელია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ კანონში „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ანგარიშვალდებულ პირებში ერთ-ერთი მათგანი არის ადვოკატიც. ამავე კანონის 25-ე მუხლის პირველ პუნქტში წერია, რომ ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია სამსახურს წარუდგინოს ანგარიშგება საექვო გარიგების ან ასეთი გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების მცდელობის შესახებ. რაც შეეხება ზემოთ ხსენებული მუხლის მე-7 პუნქტს, ამ პუნქტში ადვოკატი ანგარიშგებას ან სხვა ინფორმაციას წარადგენს მაშინ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება „ადვოკატთა შესახებ“ კანონში გათვალისწინებულ პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას. 25-ე მუხლის ხსენებული პუნქტი, შეიძლება ერთგვარ წახალისებადაც კი ჩაითვალოს ადვოკატისთვის, მაგალითად: არაკეთილსინდისიერმა ადვოკატმა შესაძლოა გამოიყენოს აღნიშნული ნორმა და ისე დაარღვიოს კანონი „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის“ შესახებ, რომ ამის შესახებ ფინანსური მონიტორინგის სამსახური არ იქნას ინფორმირებული, ხოლო ინფორმაციის შემთხვევაში იგივე „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-7 და „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილით გაამართლოს აღნიშნული არაკეთილსინდისიერი ქმედება. შეიძლება იქთვის სწორედ ამიტომ 2015 წლიდან 2019 წლამდე ადვოკატების მხრიდან ფინანსური მონიტორინგის სამსახურში საექვო ტრანზაქციების თაობაზე მხოლოდ 2 შეტყობინება იქნა გაგზავნილი, რაც ასახულია

⁷⁰ „ადვოკატთა შესახებ“ კანონი. მუხლი 7.

საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების 2019 წლის ანგარიშში.⁷¹

მეორე მხრივ აუცილებელია ბალანსი საჯარო და კერძო ინტერესს შორის, რადგან ადვოკატის პროფესია თავისუფალი პროფესიაა და მისი დაცვის გარანტიებიც აღიარებულია „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 38-ე მუხლით. ნდობის პრინციპის დაცვა ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობისას აუცილებელია დაცული იყოს კონფიდენციალურობის პრინციპი, ადვოკატის მოვალეობაა პატივი სცეს პროფესიულ საიდუმლოებას, მეტიც, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, ნებისმიერი სახის საიდუმლოების გათქმა უნდა ექვემდებარებოდეს სანქციას.⁷² ფაქტია, რომ ადვოკატს არ ეკისრება ვალდებულება აიღოს ყველა საქმე, მაგრამ პროფესიული ეთიკის კოდექსიდან და კანონმდებლობიდან გამომდინარე მას შეიძლება გარკვეული საქმეების აღება შეეზრუდოს⁷³

აუცილებელია კანონმდებლობით საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსი მოხდეს და გათვალისწინებულ იქნას ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე დადგება კაცობრიობა თუ არაკეთილსინდისიერი ადვოკატი შეზღუდული არ იქნება კანონით და ანგარიშვალდებულება არ ექნება სრულად იმისა, რომ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევაში შეატყობისნოს შესაბამის ორგანოს. მეორე მხრივ ადვოკატი რომლის საქმიანობის სფერო კლიენტის დაცვას ითვალისწინებს, აუცილებელია კლიენტის უფლებებიც დაცული და გარანტირებული იყოს თუმცა სად გადის ზღვარი საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ეს კანონმდებლობამ უნდა დაარეგულიროს, რათა

⁷¹ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების 2019 წლის ანგარიში. გვ.87-89

⁷² ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია-პრინციპი I, პუნქტი 6.

⁷³ ადვოკატთა ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით. ავტორები: მარინე კვაჭაზე; ეკატერინე გასიტაშვილი; კობა ბოჭორიშვილი; ირაკლი კორძაია. 2011 წლის 25 ნოემბერი.

მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დანაშაულის პრევენცია და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკი საქართველოში.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის განხორციელების კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის ცნობიერების დონე, კერძოდ იმ პირთა წრის ცნობიერება, რომლებიც ანგარიშვალდებული პირების კლიენტთა წრეს განეკუთნება. მაგალითად: ზოგი ანგარიშვალდებული პირი რისკების შესაბამისობის კონტროლის დროს ამუშავებს პირის ისეთ ინფორმაციას, რომელიც შესაძლებელია იყოს პერსონალური მონაცემების შემცველი, რა თქმა უნდა, რიგი კანონმდებლობა ითვალისწინებს აღნიშნული მონაცემების დამუშავებისთვის კლიენტის თანხმობას და კონკრეტული საკითხი შიდა მარეგულირებელი პოლიტიკის განხორციელების დონეზეცაა დაყვანილი, თუმცა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონი არ განსაზღვრავს კლიენტის თანხმობის მნიშვნელობასა და მის შინაარსობრივ მხარეს. ანგარიშვალდებული პირები ფლობენ ბაზებს, სადაც ამოწმებენ და აგროვებენ კლიენტის შესახებ ინფორმაციას. აქ მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია პრობლემა, რომელსაც აღნიშნულ ბაზებში ვაწყდებით, კერძოდ ჩნდება კითხვები იმის შესახებ თუ რამდენად დაცულია პერსონალური მონაცემები იმ ბაზებში, რომლებზეც ანგარიშვალდებულ პირებს მიუწვდებათ ხელი, ან ილახება თუ არა „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მაშინ როდესაც ბაზებში ხდება პირის ნასამართლეობის, რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილების ან პოლიტიკური საქმიანობის გადამოწმება.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მე-6 მუხლით აკრძალულია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება პირის თანხმობის გარეშე ან ამავე მუხლით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. თუმცა საქართველოს მოქალაქეების უმეტესი ნაწილის ცნობიერების დონე აღნიშნულ საკითხთან

დაკავშირებით არც თუ ისე მაღალია, შესაბამისად თუ მათ რომელიმე არაკეთილსინდისიერი იურიდიული პირი პირობითად: კომერციული ბანკი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მისცემს ხელმოწერისთვის წინასწარ შედგენილ თანხმობის ფორმას, რომელშიც არ არის პერსონალური მონაცემის კონკრეტული სახე მითითებული (რომელიც ბაზაში უნდა გადამოწმდეს მის მიერ), პირმა შეიძლება ვერც კი გაიაზროს რატომის ინფორმაციის დამუშავებაზე გასცემს თანხმობას ხელის მოწერით, რომ ეს ავტომატურად შეიძლება ნიშნავდეს წვდომას კანონ „პერსონალური მონაცემების დაცვის“ შესახებ მე-2 მუხლში გათვალისწინებულ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებზე, რომ ეს მონაცემები თავის თავში მოიცავს : პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემებთან დაკავშირებულ ყველა სახის ინფორმაციას.⁷⁴

ამ საკითხში აუცილებელია საჯარო და კერძო ინტერესის ბალანსის დაცვა, თითოეულმა საზედამხედველო ორგანომ უნდა განახორციელოს მკაცრი კონტროლი იმასთან დაკავშირებით, რომ ანგარიშვალდებული პირების მხრიდან არ მოხდეს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის დაცვის მიზნით „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონის დარღვევა. რაც შეეხება მოსახლეობის ცნობიერებას მისი ინფორმირება ანგარიშვალდებული პირის

⁷⁴ „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“

მხრიდან უშუალოდ საწყის ეტაპზე ურთიერთობის დამყარებამდე და თითოეულ კლიენტზე შესაბამისობის კონტროლის განხორციელებამდე უნდა მოხდეს, რაც თავის მხრივ დავის შემთხვევაში რთულად დასამტკიცებელია ამიტომაც აუცილებელი შესაბამისი ორგანოების მხრიდან მეტი ყურადღება მიექცეს თანხმობის შინაარს, ვადას და მის შესაბამისობას იმ ურთიერთობასთან რომელშიც ანგარიშვალდებული პირი და თანხმობის ხელმომწერი იმყოფებიან. აღნიშნული გარემოებები უნდა გაითვალისწინოს ანგარიშვალდებულმა პირმა არა მხოლოდ საქმიან ურთიერთობაში მყოფ კლიენტებთან, არამედ ერთჯერადი გარიგების /ოპერაციის შემთხვევებშიც.

დასკვნა

ნაშრომიდან გამომდინარე საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა წლების განმავლობაში ვითარდება და იხვეწება. დრო და დრო შესაბამისობაში მოდის ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის რეკომენდაციებთან, ხოლო ამ პროცესს მონიტორინგს უწევს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL).

ანგარიშვალდებული პირის მიერ შიდა ინტრუქციის შექმნისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს თანამშრომელთა განგრძობად სწავლებაზე და მოხდეს არა მხოლოდ ნორმატიული აქტებისა და შიდა ინსტრუქციის მიწოდება არამედ მათთვის უფლებებისა და მოვალეობების ახსნა და მათი პრაქტიკაში განხორციელების უზრუნველყოფა. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი მაღალკვალიფიციური კადრის არსებობა, რომელსაც იურიდიული განათლება არ აქვს, თუმცა ახორციელებს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ რისკების მართვას ისე რომ არ არღვევს სხვა კანონში მითითებულ უფლებას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვან პრობლემად რჩება კანონმდებლობის ბუნდოვანობა და საჯარო და კერძო ინტერესის დისბალანსი. აუცილებელია კანონმდებლობაში ნაპოვნი იქნას ოქროს შუალედი რა შემთხვევაშიც ადვოკატს შეეძლება გასცეს პროფესიული საიდუმლოება, რაც არ იქნება წახალისება, ადვოკატის ეთიკის კოდექსის დარღვევის.

აუცილებელია დაზუსტდეს კანონმდებლობაში პირის პერსონალური მონაცემების გადამოწმებისთვის თანხმობის ფორმის შინაარსი, რომელსაც ანგარიშვალდებული პირები ადგენენ. აღნიშნულ დოკუმენტში პირდაპირ და ცხადად უნდა იქნას გაწერილი ის პერსონალური მონაცემები, რომელთა შემოწმებაზეც პირი თანხმობას იძლევა, რაც

უზრუნველყოფს იმას, რომ მომხმარებელი/კლიენტი არ იქნას შეცდომაში შეყვანილი. კიდევ ერთი პრობლემა არის არასაფინანსო სექტორი, რომელიც ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება ქართული საკანონმდებლო სივრცისთვის განსაკუთრებით კი სათამაშო ბიზნესი. აღნიშნულ სექტორში ანგარიშვალდებული პირების შემოწმება სანებართვო პირობების ფარგლებში ხორციელდება და ძირითადად შესაბამისობის პოლიტიკის არსებობით შემოიფარგლება. სწორედ ამიტომ ეს უკანასკნელი ერთ-ერთ მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების თვალსაზრისით, რის გამოც განსაკუთრებულ მონიტორინგს საჭიროებს.⁷⁵

რაც შეეხება შესაბამისობის კონტროლის სისტემას და მის დანერგვას, თითოეულ სექტორში ქმედითი ნაბიჯები ხორციელდება საკანონმდებლო დონეზე და ამ საკითხს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონი არეგულირებს, თუმცა აუცილებელია საზედამხედველო ორგანოების მხრიდან მოხდეს მათ დაქვემდებარებაში მყოფი ანგარიშვალდებული პირების გადამზადება და სერტიფიცირებაც, რათა ყველა დონეზე რისკის მართვა განხორციელდეს კანონის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში შედეგი იქნება მაღალკვალიფიციური პერსონალი და რისკის მართვაც ყველა დონეზე მეტად მარტივი, ზუსტი და კანონთან შესაბამისი იქნება. ასევე ამ გზით თავიდან იქნება აცილებული თითოეულ სექტორში სხვადასხვა რესურსის არასწორი მიმართვა, რაც თავის მხრივ დანაშაულების სწრაფ გამოვლენას უზრუნველყოფს საწყის ეტაპზე და ნაკლები დანაკარგით. განათლებისა და ცნობიერების გაზრდა ანგარიშვალდებულ პირებში, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის საუკეთესო საშუალებაა, როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეზე.

⁷⁵ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების 2019 წლის ანგარიში. გვ 11

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“

საქართველოს კანონი „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“

საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსოების შესახებ“

საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“

საქართველოს კანონი საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ

საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“

საქართველოს კანონი „ნოტრიატის შესახებ“

საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“

საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“

საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“

საქართველოს კანონი „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშოების მოწყობის შესახებ“

საქართველოს კანონი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 24 აგვისტოს N65/04 ბრძანება

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N253/04 ბრძანება

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 1 ნოემბრის ბრძანება N210/04

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №217/04 . 2018 წლის 27 სექტემბერი

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №206/04 2018 წლის 18 სექტემბერი

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 7 მაისის ბრძანება N82/04

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N297/04

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №ნ-13, 2017 წლის 18 აგვისტო

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის ბრძანება №1

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის ბრძანება №2

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2010 წლის ანგარიში

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2011 წლის ანგარიში

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2013 წლის ანგარიში

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2014 წლის ანგარიში

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2015 წლის ანგარიში

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2016 წლის ანგარიში

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2017 წლის ანგარიში

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2018 წლის ანგარიში

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2019 წლის ანგარიში

საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება 2019 წელი.

განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“

განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე

„არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

სამეცნიერო ჟურნალი "ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა" N 1. 2015 წელი .თენგიზ ვერულავა; არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევა საქართველოში.

ადვოკატთა ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით.ავტორები:მარინე კვაჭაზე; ეკატერინე გასიტაშვილი;კობა ბოჭორიშვილი; ირაკლი კორძაბია. 2011 წლის 25 ნოემბერი.

გაეროს კონვენცია ტრეფიკინგის წინააღმდეგ, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების წინააღმდეგ.1988 წლის 19 დეკემბერი

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია-პრინციპიI, პუნქტი 6

Margaret E.BEARE Encyclopedia of transnational crime and justice(York university, Toronto, Canada)

Anti-MoneyLaundering: Historyand CurrentDevelopmentsMichael J. Anderson, MBA*Tracey A. Anderson, JD,LLM, CPA

Alex Ferguson - Legal Adviser, Caribbean Criminal Asset Recovery Programme

Council of Europe Convention on Laundering, Search, Seizure and Confiscation of the Proceeds from Crime and on the Financing of Terrorism *Warsaw, 16.V.2005

ინტერნეტ-წყაროები:

KYC-Chain—Scalable Customer Onboarding Solution <https://medium.com/kyc-io-scalable-kyc-management-solutions/the-5-largest-money-laundering-scandals-of-all-time-so-far-d30ff4abee10> (The 5 Largest Money Laundering Scandals of All Time)

<https://www.un.org/press/en/2020/sc14195.doc.htm>

<https://www.egmontgroup.org/en/content/about>

<https://info.parliament.ge/#law-drafting/18321>

<https://www.nbg.gov.ge/uploads/finstability/nonbanks/2020/sgs/sgs.xlsx>

<https://www.rs.ge/>

<https://www.notary.ge/>

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/236098>

<https://info.parliament.ge/#law-drafting/20164>

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/245929>

<https://www.geostat.ge/ka>